შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: ნიკა მასურაშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი გივი ლობჟანიძე

თბილისი

2020

შინაარსი

ანოტაცია ----------3

Annotation ---------- 4

შესავალი ----------5

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა ----------7

თავი II. ორგანიზებული დანაშაულის ცნება და ტერორიზმი ----------9

2.1. ორგანიზებული დანაშაულის ცნება ----------9

2.2. ტერორიზმის დეფინიცია და ორგანიზებულ დანაშაულთან გამიჯვნის საკითხი ----------10

2.3 ტერორიზმის მოკლე ისტორიული მიმოხლვა ----------16

2.3. ტერორიზმის ფორმები და სახეები ---------- 20

თავი III. ტერორიზმი, თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევა ----------26

3.1. ტერორიზმი თანამედროვე მსოფლიოში ----------26

3.2. საერთაშორისო თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ----------32

თავი IV. ტერორიზმის ტენდენციები და საქართველო ----------38

4.1. არსებული ვითარების მიმოხილვა ----------38

4.2. საქართველო ტერორიზმის წინააღმდეგ ----------41

თავი V. კვლევის შედეგები ----------46

დასკვნა ----------47

გამოყენებული ლიტერატურა ----------49

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება. ტერორიზმი თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს და უდიდეს საფრთხეს უქმნის სახელმწიფოთა სტაბილურ ფუნქციონირებასა და მოსახლეობის უსაფრთხოებას.

ნაშრომშის პირველი თავი ეხება ლიტერატურის მიმოხლივას. მეორე თავში საუბარია ორგანიზებული დანაშაულის ცნებასა და ტერორიზმზე, მათი გამიჯვნის საკითხზე, ტერორიზმის ფორმებსა და სახეებზე და ტერორიზმის ისტორიულ მიმოხილვაზე.

მესამე თავში ყურადღება არის გამახვილებული, თუ რამდენად დიდ გამოწვევას წარმოადგენს ტერორიზმი თანამედროვე მსოფლიოსათვის და ასევე საუბარია იმაზე, თუ როგორ ხორციელდება საერთაშორისო თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რაც შეეხება მეოთხე თავს, აქ განხილულია ტერორიზმის ტენდენციები და საქართველო, არსებული ვითარების მიმოხილვაზე არის ყურადღება გამახვილებული და საუბარია თუ როგორ არის საქართველო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული.

ნაშრომი მოიცავს სარჩევს, ანოტაციას, შესავალს, გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვას, ძირითად თემას (რომელიც დაყოფილია თავებად და ქვეთავებად), დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს.

Annotation

The following text describes criminal nature of terrorism. Terrorism is a great challenge for the modern era as it endangers stability of each state and its citizens.

The first chapter of the Diploma thesis reviews literature. The second one includes organized crime and terrorism, differences between the two, different forms of terrorism and the history of terrorism.

In the third Chapter the emphasis is on the challenges brought by terrorism nowadays and the international collaboration in order to face those challenges.

The fourth chapter is about the tendencies of terrorism and Georgia. The current situation is described as well as Georgia's efforts to fight against terrorism.

The Diploma thesis includes a Table of Contents, Annotation, Introduction, Review of literature, the chapters regarding the main point, conclusion, list of Reference material.

შესავალი

თემის აქტუალობა. 21-ე საუკუნეში საქართველოსა და მსოფლიოში მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ეროვნული უსაფრთხოების გლობალურ საშიშროებად იქცა ისეთი ნეგატიური სოციალური მოვლენა, როგორიცაა ტერორიზმი. ტერორიზმი ბოლო წლებში განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და სახელმწიფოების სტაბილურობას, რადგან მან შეიძინა გლობალური ხასიათი. ტერორისტული აქტის მსხვერპლად გახდომის რისკი მაღალი გახდა ნებისმიერი ქვეყნისათვის, მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და მოსახლეობის რაოდენობის მიუხედავად. მსოფლიო განვითარების კვალდავალ იცვლებოდა და იხვეწებოდა ტერორიზმის ფორმები და სახეები, მისი გამომწვევი მიზეზები, მასშტაბები, ასევე ის პერსპექტივები, რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს ტერორიზმის მეცნიერული შესწავლა. ტექნიკის განვითარებამ კიდევ უფრო დახვეწა ტერორისტების მოქმედებები. საზოგადოების განვითარების ნებისმიერი ეტაპი ხასიათდება ტერორიზმთან ბრძოლის სპეციფიკური მეთოდოლოგიისა და მიმართულებების განვითარებით, რაც თანამედროვე კრიმინოლოგიის მრავალფეროვან და ყოვლისმომცველ ხასიათს განაპირობებს.

მეცნიერებაში დანაშაულის შესახებ არსებობს მრავალი გადაუჭრელი პრობლემა, რომლებიც მიუხედავად თავისი ტრადიციულობისა, ყოველთვის აქტუალურ ხასიათს ატარებს. ამ პრობლემათა რიცხვში შედის ტერორიზმის პრობლემაც.

სამწუხაროდ ტერორიზმის პრობლემა მსოფლიოში ყოველთვის იყო, არის და ამჟამინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე ჯერ კიდევ დიდხანს იქნება.

მიუხედავად მეცნიერთა მცდელობებისა, განსაზღვრონ ტერორიზმის სამართლებრივი ბუნება, ისინი ჯერ კიდევ ვერ შეთანხმდნენ მრავალ საკითხზე და მრავალი განსხვავებული მოსაზრება არსებობს აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით. ამის მაგალითია თუნდაც ის, რომ ტერორიზმის ერთიანი ყველასათვის მისაღები დეფინიცია კვლავაც არ არსებობს.

ტერორიზმთან ბრძოლაში მნიშვნელოვანია ნორმატიული საშუალებები, როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო ასპექტით. კარგად გააზრებული და ეფექტური ანტიტერორისტული კანონმდებლობა წარმოადგენს სახელმწიფოს კონკრეტულ სამოქმედო გეგმას.

კვლევის მიზანი. წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ტერორიზმის თანამედროვე კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, სოციალური და სხვა ასპექტების უფრო დაწვრილებით გადმოცემა, მათი თავისებურებები და ტერორიზმთან ბრძოლის თანამოდროვე მიდგომები, როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

კვლევის ამოცანა: ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს, ტერორიზმის ისტორიული ასპექტების მოკლედ გადმოცემა, მისი ფორმებისა და სახეების მრავალფეროვნების ჩვენება, დღეისათვის ყველაზე ძლიერი ტერორისტული დაჯგუფებების და მათ მიერ განხორციელებული ცნობილი ტერორისტული აქტების განხილვა და მათი ამჟამინდელი მდგომარეობა. ასევე ტერორიზმთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის განხილვა, მათში არსებული ხარვეზების დასაბუთება და შეფასება.

კვლევის მეთოდები: ნაშრომზე მუშაობისას დავიხმარე, როგორც ქართული, ასევე უცხოური თეორიული მასალა - ეს იყო სამეცნიერო თუ ნორმატიული ლიტერატურა. მიუხედავად საკითხის აქტუალობისა, ტერორიზმის თანამედროვე ტენდენციებთან დაკავშირებით დავიხმარე ინტერნეტ-რესურსებიც, რომელიც მითითებული მაქვს, როგორც სქოლიოში, ასევე გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალშიც.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენე ლიტერატურა, რომელიც დამეხმარა, რომ თემა შეხებოდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს ტერორიზმის გარშემო. ასეთები იყო: გ. ქელდიშვილის „ტერორიზმი და ტერორისტული აქტები"; ბ. ნაჭყებიას „ტერორიზმი - ისტორია, დეფინიცია, ტიპოლოგია"; ს. ჩქოფოიასა და კ. ჭყოიძის, „საერთაშორისო ტერორიზმი (იდეოლოგია და პოლიტიკა)"; გ. გორაშვილის „ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება". ისინი მრავალმხრივ გვიჩვენებს საკითხის მთავარ მახასიათებლებს. ნაშრომში ყურადღება არის ასევე გამახვილებული ორგანიზებულ დანაშაულზე, მის ცნებასა და ტერორიზმთან გამიჯვნის საკითხზე, რაზეც დამეხმარა შემდეგი სახელმძღვანოები: ადლერი ფ., მიულერი გ.ო.ვ., ლაუფერი ვ.ს., „შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში"; გ. ღლონტი, „კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში"; ზ. წულაია, „კრიმინოლოგოა (ზოგადი და კერძო ნაწილი)"; მ. შალიკაშვილი, „კრიმინოლოგია (მეორე გამოცემა)"; გ. ლობჟანიძე, „საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა". ასევე ნაშრომში საუბარი მაქვს ტერორისტულ დაჯგუფებებზე, მათ საქმიანობასა და კავშირზე საქართველოსთან, რაზეც დამეხმარა დ. კუხალაშვილის, „ტერორისტული ორგანიზაციები და მათი საქმიანობა". რაც შეეხება ტერორიზმთან ბრძოლის მექანიზმებს, როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, სხვადასხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად დავიხმარე: მ. ტურავა, „ევროპული სისხლის სამართალი"; ი. დვალიძე, „ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი"; გ. გორაშვილი, ტერორიზმი და მისი იმანენტური კრიმინოლოგიური ნიშნები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია".

სამაგისტრო ნაშრომში ასევე გამოყენებულია ნორმატიული მასალა, კერძოდ: „საქართველოს კონსტიტუცია", „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი" და „ საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ"

გარდა ამისა, სამაგისტრო ნაშრომში გამოვიყენე უცხოური ლიტერატურა, რომელიც ინტერნეტის მეშვეობით მოვიძიე, როგორც ონლაინ სახელმძღვანეოები, ასევე ვებ-გვერდები. უცხოური ლიტერატურიდან დავიხმარე: Benton, E. Gup, Money Laundering, Financing Terrorism and Suspicious Activities; Knickerbocker B., "Anti-Immigrant Sentiments Fuel Ku Klux Klan Resurgence", The Christian Science Monitor; Ruperez J., The United Nations In The Fight Against Terrorism; Кота А., Эпоха терроризма, Международный терроризм и право; Манфред А. З., Великая французская революция, Москва; Рудольфович М. И., Терроризм: понятие,

ответственность, Предупреждение; Савельева Л. П., Терроризм - ты под прицелом; Эмануилов Р., А. Яшлавский, Террор во имя веры: религия и политическое насилие. აღნიშნულ ლიტერატურებში ტერორიზმი ძირეულადაა განხილული და გაანალიზებულია ტერორიზმთან დაკავშირებული უახლესი გამოწვევები.

თავი II. ორგანიზებული დანაშაულის ცნება და ტერორიზმი

2.1 ორგანიზებული დანაშაულის ცნება

ორგანიზებული დანაშაული კრიმინალური საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე რთული და საშიში ფორმაა, რომელიც ხელყოფს საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და ზნეობრივ სფეროებს. მისი კვლევის სირთულის პირველ ნიშანს წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულის ცნების ჩამოყალიბების პრობლემატიკა, რადგან მას აქვს მრავალი გამოვლინება.

აღსანიშნავია, რომ ორგანიზებული დანაშაულობის ნიშანთა ჩამონათვალი საკმაოდ ზუსტად არის შეჯამებული თვით ტერმინში „ორგანიზებული დანაშაული". იგი წარმომდგარია სიტყვა „organize"-სგან და ნიშნავს მწყობრი სახის მინიჭებას, მოწესრიგებას.[1]

ორგანიზებული დანაშაულის ერთაინი ცნების ჩამოყალიბება აუცილებელია, რადგან:

1. სხვადასხვა რეგიონის და სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოებისათვის ადვილი გასაგები გახდეს, თუ რა არის ორგანიზებული დანაშაული:

2. მოხდეს ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის, როგორც ნაციონალურ ისე ტრანსნაციონალურ დონეზე, სათანადო მოპოვება და დამაგრება.[2]

1919 წელს პირველად აშშ-ში, ჩიკაგოში გამოიყენეს „ორგანიზებული დანაშაულის" ცნება. ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა ორგანიზებული დანაშაულის ცნების საკითხის გადასაჭრელად. იქმნებოდა სენატის კომიტეტები, სხვადასხვა კომისიები და კონფერენციები, თუმცა უნივერსალური ცნების ჩამოყალიბება მაინც ვერ მოხერხდა.

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში მიღებულია ორგანიზებული დანაშაულის აღწერა, მისი საქმიანობის და ინდიკატორების საფუძველზე. მათ შორის მნიშვნელოვანია:[3]

1. ადამიანთა ჯგუფის შექმნა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ერთად ყოფნის სურვილით.
2. ამ ჯგუფებში პირები წევრიანდებიან მთელი სიცოცხლის მანძილზე.
3. ჯგუფის შიგნით დამყარებულია მაღალი ორგანიზებულობა, რაც გამოიხატება ერთმანეთისადმი პატივისცემაში, დისციპლინის მაღალ დონეში, უფროსისადმი მორჩილებასა და ა.შ

---

[1] ზ. წულაია, კრიმინოლოგია (ზოგადი და კერძო ნაწილი), თბილისი, 2005 წ, გვ. 232
[2] მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია (მეორე გამოცემა), თბილისი, 2011 წ, გვ. 84
[3] იქვე. გვ. 85

4. წინასწარი არის დაგეგმილი დანაშაულები, რომელთა ჩადენის დროს განაწილებულია დანაშაულებრივი საქმიანობა ჯგუფის წევრების შესაძლებლობების მიხედვით.

5. არალეგალური საქმიანობები

6. დანაშაულის ჩადენის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება.

7. საერთაშორისო დონეზე საქმიანობა.

იტალიელი იურისტის რ. მინის აზრით, დანაშაულებრივი ორგანიზაცია არ არის მხოლოდ ბანდა ან იმ პირთა ჯგუფი, რომლებიც სჩადიან დანაშაულს. იმისათვის, რომ ესა თუ ის ჯგუფი ორგანიზაციად ჩაითვალოს, მას უნდა გააჩნდეს შემდეგი ნიშნები: ინფორმაციის შეგროვება და გადაცემა; სამართალდამცავ ინსტიტუტთა მოქმედების ნეიტრალიზაცია; ძირითად სოციალურ-ეკონომიკური სამსახურების გამოყენება; ჯგუფის შიდა სტრუქტურების არსებობა.[4]

ქართულ კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში ორგანიზებული დანაშაულობა არის „ანტისაზოგადოებრივი ფართომასშტაბიანი მდგრადი სისტემა, რომელიც თავისი ფართომაშტაბიანი დანაშაულებრივი საქმიანობით ხელოვნურად ქმნის უფრო მეტად ხელსაყრელ პირობებს კანონსაწინააღმდეგო ბიზნესისათვის, როგორც დანაშაულებრივი აქტივობის მომსახურე მმართველობითი და სხვა ფუნქციების მქონე საკუთარი სტრუქტურების მეშვეობით, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მეშვეობით.“[5]

2.2. ტერორიზმის დეფინიცია და ორგანიზებულ დანაშაულთან გამიჯვნის საკითხი

ტერორიზმის ცნების განსაზღვრა მსოფლიო მეცნიერების ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას წარმოადგენს. საფრთხის დიდი მნიშვნელობის გამო ტერორიზმს სხვადასხვა ასპექტით იხილავენ. არამარტო საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი სახელმწიფოები, არამედ მეცნიერებიც კი ვერ თანხმდებიან ტერორიზმის ცნების ერთიანი ყველასათვის მისაღები იურიდიული განსაზღვრების შემუშავებაზე. ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ საზოგადოების ერთი ნაწილისთვის გარკვეული ჯგუფი ტერორისტულია, ხოლო მეორე ჯგუფისათვის - თავისუფლებისათვის მებრძოლი.

[4] ზ. წულაია, კრიმინოლოგია (ზოგადი და კერძო ნაწილი), თბილისი, 2005 წ, გვ. 232

[5] გ. ღლონტი, კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში. თბილისი 2008, გვ. 51.

დღეისათვის არსებული ტერორიზმის დეფინიციებიდან, როგორც წესი ყოვილივე აღწერს მის რომელიმე ასპექტს. ტერორიზმში უმთავრესად მოიაზრება ძალადობა, დაშინება, ძალადობრივი ქმედება და მუქარა. თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში ტერორიზმის ცნება გულისხმობს პოლიტიკური, ეკონომიუკური, იდეოლოგიური თუ სხვა სახის სარგებლის მოპოვების მიზნით ტერორისტების მიერ, ცალკეული პირთა ჯგუფის თუ სხვა ობიექტების წინააღმდეგ ძალადობის გამოყენებას ან მისი გამოყენების მუქარას.

თანამედროვე საზოგადოება ტერორიზმის ბევრს სახეობას შეეჯახა და ამ ტერმინს კონკრეტული შინაარსობრივი დატვირთვა აღარ აქვს, რადგან ტერორიზმად თვლიან ისეთ სისხლისსამართლებრივ ქმედებებს, როგორიცაა გამოსასყიდის მიღების მიზნით ადამიანის გატაცება, პოლიტიკურ ნიადაგზე მკვლელობა, თვითმფრინავების გატაცება და სხვა.

სიტყვა ტერორიზმი მასობრივად გამოჩნდა მე-18 საუკუნის ბოლოს. ერთ-ერთ ფრანგულ ცნობას თუ დავეყრდნობით, იაკობინელები ამ ცნებას იყენბდნენ თავის მიმართებაში დადებითად. ხოლო საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ სიტყვა ტერორიზმმა უკვე მიიღო უარყოფითი შეფასება და ის გახდა დანაშაულის სინონიმი. [6]

1937 წელს ერთა ლიგამ პირველებმა სცადეს ტერორიზმის ცნების განმარტება და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ტერორიზმი არის კრიმინალური აქტი, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს წინააღმდეგ ან საზოგადოებაში მთლიანად ტერორის მდგომარეობის შექმნის მიზნით, რომელსაც შეიძლება ახორციელებდეს ცალკეული პირი ან პირთა ჯგუფი.[7]

სოციალური მეცნიერების წარმომადგენლები და იურისტები ნაცვლად იმისა, რომ შეთანხმდნენ ტერორიზმის ერთიან, ყველასათვის მისაღებ დეფინიციაზე, კამათობენ ტერმინის მნიშვნელობაზე. მიზეზი ის გახლავთ, რომ ტერორიზმის განსაზღვრა რთულია და ხშირად დაბნეულობასაც იწვევს, რადგან ზოგჯერ ტერორიზმს და ტერორს ერთი მნიშვნელობით მოიხსენიებენ. ეს უკანასკნელი ლათინური წარმოშობისაა და შიშს ნიშნავს. ყოველ ქმედებას, რომელიც იწვევს შიშს, ვერ მივიჩნევთ ტერორიზმად, რადგან პოტენციური დეფინიცების რაოდენობა შეიძლება უსასრულოდ გაიზარდოს. მაგალითად ქუჩის ბანდები და კრიმინალები ტერორში ანუ შიშში ამყოფებენ საზოგადოებას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ტერორისტები არიან.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა გვაჩვენა, რომ ტერორიზმისთვის უმთავრესი არის არა ძალადობა, არამედ მოსახლეობის დაშინება და თავზარდაცემა. ამ ტერაქტმა შეცვალა ადამიანების დამოკიდებულება ტერორიზმის მიმართ. ხალხმა გაანალიზა საშინელი რეალობა და გააცნობიერა საკუთარი უსუსურობა.

---

[6] А. З. Манфред, Великая французская революция, Москва, 1983, ст.191

[7] J. Ruperez, The United Nations In The Fight Against Terrorism, 2006

ტერორიზმი ზიანს აყენებს, როგორც შიდა სახელმწიფოს, ისე საერთაშორისო მართლწესრიგს. იგი შეიძლება განახორციელოს, როგორც ცალკეულმა პირებმა, ასევე პირთა ჯგუფებმა. დანაშაულის ჩამდენი პირები, შეიძლება მოქმედებდნენ სახელმწიფოს ინტერესებით ან საკუთარი მიზეზებიდან გამომდინარე, როგორიცაა პოლიტიკური, რელიგიური თუ სხვა.[8]

ტერორისტულ ორგანიზაციებს და დაჯგუფებებს ახასიათებთ ცვალებადი ბუნება, რაც ორი მიმართულებით შეიძლება წარიმართოს: პირველი, ჯგუფის რაოდენობით ზრდა ანგარიშებით ან იძულებით, მეორე ჯგუფის თვისობრივი ორგანიზაციულ-სტრუქტურული გაფართოვება.[9]

სხვადასხვა ქვეყანაში ტერორიზმის განსხვავებული განსაზღვრება არსებობს. მაგალითად, სანკტ-პეტერბურგის ადმინისტრაციის ოფიციალურ საიტზე ტერორიზმი განმარტებულია, როგორც მეთოდი რომლის მიხედვით ორგანიზებული ჯგუფი ან პარტია, ძალადობის სისტემური გამოყენებით ცდილობს მიაღწიოს თავის ძირითად მიზანს. ტერორისტული მოქმედება იღებს ყოველთვის სახალხო ხასიათს და მიმართულია ხალხზე და ძალაუფლებაზე გავლენის მოსახდენად.[10]

ამერიკის შეერთებულ შტატებში, გამოძიების ფედერალური ბიუროს ოფიციალურ საიტზე, ტერორიზმის ორ სახეს გამოყოფენ, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ ტერორიზმს.

საერთაშორისო ტერორიზმი: ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი დანაშაულებრივი მოქმედება, რომელსაც ცალკეული პირები ან პირთა დაჯგუფება ჩადის, რომლებიც დაკავშირებულნი არიან უცხოურ ტერორისტულ ორგანიზაციებთან ან სახელმწიფოებთან და ფინანსდებიან მათ მიერ.

შიდასახელმწიფოებრივი ტერორიზმი: ძალადობრივი დანაშაულებრივი მოქმედება, გამოყენებული ხელისუფლების, მთავრობის, ადამიანების ან ქონების წინააღმდეგ, რომელსაც ჩადის ერთი ან რამდენიმე პირი, იმ მიზნით, რომ მიაღწიონ იდეოლოგიურ მიზანს. მიზანი შეიძლება იყოს პოლიტიკური, რელიგიური, სოციალური ან ეკოლოგიური.[11]

ლიტერატურაში ხშირად აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ ტერორიზმს ბევრი საერთო აქვს ორგანიზებულ დანაშაულობასთან და მართლაც, მათ შორის განსხვავება არის პირობითი. ხშირად საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები დახმარებისათვის ორგანიზებულ დანაშაულობას მიმართავენ (მაგალითად, პერუს ნარკობიზნესის წარმომადგენლების მჭიდრო

---

[8] W. Raymond Duncan, World Politics in the 21st Century (Third edition), 2005.

[9] გ. ლობჟანიძე, საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა, თბილისი 2002 წ., გვ. 114.

[10] https://www.gov.spb.ru/gov/terr/reg_admiral/antiterror/chto-takoe-terrochto-takoe-terrorizmrizm/

[11] https://www.fbi.gov/investigate/terrorism

კონტაქტები ჯგუფ „ნათელი გზის“ მეამბოხეებთან).[12] ორგანიზებული დანაშაულობა ხშირად იყენებს ტერორისტებს პოლიტიკოსების, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების და სხვათა შესაშინებლად ან გასანადგურებლად.

თუმცა, მნიშვნელოვანია გამოვყოთ მათ შორის რა განსხვავებაა:

ტერორისტული ჯგუფები, ჩვეულებრივ, უფრო იდეოლოგიზებულები არიან. დამნაშავეთა ორგანიზებული დაჯგუფებები თავის ძალებს მიმართავენ უკანონო და ლეგალური ბიზნესისაკენ და ტერორისტული გაერთიანებებისგან განსხვავებით, არ ეხებიან არსებულ პოლიტიკურ სისტემებს.

ტერორისტები უმთავრესად მოქმედებენ სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების განსახორციელებლად (ზოგიერთი ჯგუფებისთვის მთავარია შეინარჩუნოს სტატუს კვო ან დაუბრუნდეს სტატუს კვო ანტეს). მათგან განსხვავებით, კრიმინალური ორგანიზებული გაერთიანებები ისწრაფვიან პირადი მატერიალური კეთილდღეობისაკენ (თუმცა ისინიც მიმართავენ ძალადობას სტატუსის დამკვიდრების ან გართობისათვის.)[13]

პასუხისგებაში მიცემული ტერორისტები აღიარებენ მათ მიერ ჩადენილ ქმედებებს, თუმცა არ თვლიან მათ დანაშაულებრივად. ტერორიზმს ახასიათებს საზოგადო ხასიათი, ცდილობენ სასამართლო პროცესები გამოიყენონ თავიანთი იდეების დეკლარირებისა და პროპაგანდის ტრიბუნად, ლატენტურობა არ ეთავსება ტერორიზმის კრიმინოლოგიურ ბუნებას მაშინ, როდესაც დამნაშავეთა ორგანიზებული ფორმირებების წევრები, ჩვეულებრივ, ცდილობენ რაც შეიძლება დამალონ თავიანთი ნამოქმედარი, აირიდონ პასუხისმგებლობა და არ განავრცონ ინფორმაცია საკუთარი საქმიანობის შესახებ.[14]

ტერორისტული ჯგუფების მიზანია, რომ გააფართოვოს თავიანთი მიმდევართა წრე და მრავალი ხერხით ცდილობენ ახალი წევრების მოზიდვას, ხოლო ორგანიზებულ ფორმირებებს ასეთი რამ არ ახასიათებს, ისინი შეძლებისდაგვარად ზღუდავენ მათ ჯგუფში ახალი წევრების გაწევრიანებას.

ტერორისტები კონკურირებენ კანონიერ მთავრობებთან მოსახლეობის ფართო მასებში, რათა მიიღოს თავისი იდეოლოგიისა და საქმიანობის მორალური მხარდაჭერა, ორგანიზებული დანაშაულობა კი ცდილობს არ მოახდინოს თავისი არსებობისა და საქმიანობის საჯაროდ გახმაურება.

ტერორისტული ფორმირებათა მოღვაწეობის შედეგად ვიქტიმიზაცია უფრო დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს, განსხვავებით ორგანიზებული დანაშაულობისაგან.

---

[12] ფ. ადლერი, გ.ო.ვ მიულერი, ვ.ს ლაუფერი, შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში, გვ.339

[13] იქვე.

[14] http://author.nbpublish.com/pr/article_28002.html

ტერორისტთა მსხვერპლი ხშირად უდანაშაულო მოქალაქეები ხდებიან, ორგანიზებული დანაშაულობის შემთხვევაში, დანაშაულის მოტივსა და დაზარალებულს შორის კავშირი უფრო გამოკვეთილია.[15]

ტერორისტული ჯგუფები უფრო იშვიათად კონკურირებენ ერთმანეთთან გავლენის სფეროებისა და ტერიტორიებისათვის, ვიდრე დამნაშავეთა ორგანიზებული ფორმირებები; თუმცა, ტერორისტული ჯგუფები ხშირად მიმართავენ ძალადობას სხვა, იდეოლოგიურად ნაკლებად რადიკალური გაერთიანებების მიმართ და ანადგურებენ მათ.

როგორც ორგანიზებული, ისე ტერორისტული ორგანიზაციების წევრები ძირითადად რაციონალური დამნაშავეები არიან, ე.ი ორივე გაერთიანების ნაირსახეობა მოქმედებს მიზანმიმართულად, თუმცა ტერორისტები ნაკლებად რეალისტები არიან სოციალური და პოლიტირკული სიტუაციის შეფასებაში.[16]

დამნაშავეთა ორგანიზებული დაჯგუფებები და ტერორისტული ფორმირებები მიმართავენ მოსახლეობის დაშინებას და ფიზიკურ ძალადობას, თუმცა ძალადობა, ჩადენილი ტერორისტების მიერ, არღვევს ძირითად მორალურ ნორმებს და ქმნის დისპროპორციულ ეფექტს. ძალადობა, რომელსაც მიმართავენ ტერორისტები, შეიძლება იყოს არაპირდაპირი, ანუ ძალადობას ექვემდებარება შემთხვევით შერჩეულ პირთა ჯგუფი, ქმედების მიზანი კი სხვათა უსიტყვო მორჩილებაა, ასეთივე აქტივობას აქვს ადგილი დამნაშავეთა ორგანიზებული ფორმირებების შემთხვევაშიც. მაგალითად, ჯგუფები, რომლებიც აკონტროლებენ ორგანიზებულ პროსტიტუციას, აწარმოებენ ქალთა გადაბირებას სხვა ქვეყნებში სამუშაოდ. საკმაოდ ხშირად ქალებს იძულებით აბამენ აღნიშნულ საქმიანობაში და წინააღმდეგობის შემთხვევაში მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში ბავშვებზე ან ნათესავებზე შესაძლო შურისძიებით ემუქრებიან. ხშირად დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების საქმიანობა გლობალურ ეკონომიკაში ჩაბმასთანაა დაკავშირებული და არც კონკრეტული დაზარალებულები ჰყავს. ამავე დროს, ტერორისტების საქმიანობას ყოველთვის თან სდევს მსხვერპლი, თუმცა ძალადობას შეიძლება შემთხვევითი ხასიათიც ჰქონდეს, როდესაც ის არ არის დაკავშირებული აქტუალურ მიზნებთან ან კონკრეტულ დაზარალებულებთან. რიგ შემთხვევებში ორგანიზებული დანაშაულის ფორმირებების წევრები თვითონ აწყობენ ან მონაწილეობენ ტერორისტულ აქტებში, რათა უფრო შეუბრალებლად წარმოჩნდნენ, აიმაღლონ ავტორიტეტი ან მოატყუონ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები.[17]

---

[15] ფ. ადლერი, გ.ო.ვ მიულერი, ვ.ს ლაუფერი, შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში, გვ. 340

[16] M. Amir, "Political terrorism an common criminality: some preliminary consideration", Violence, Aggression and Terrorism vol. 1, pp 377-378

[17] ფ. ადლერი, გ.ო.ვ მიულერი, ვ.ს ლაუფერი, შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში, გვ. 342

დაჯგუფებების ორივე ტიპი მიმართავს კრიმინალურ აქტივობას თავისი საქმიანობის ფინანსირებისათვის. ტერორისტული ჯგუფების მიზანი ძირითადად არის პოლიტიკური, ხოლო ორგანიზებული დანაშაულის ფორმირებებისა - ეკონომიკური, მათ სურთ მაქსიმალური სარგებელი მინიმალური რისკის ფასად. თუმცა, ფორმირებების ორივე ტიპი სისტემატურ ფინანსურ შემოსავალს საჭიროებს არსებობისთვის. ამასთან, ტერორისტები თავისი ფინანსური მარაგის შესავსებად ხშირად ჩადიან მარტივ სისხლის სამართლის დანაშაულს, დასაწყის ეტაპზე მაინც (თუ არ ჰყავთ დაინტერესებული უცხოელი სპონსორები).[18]

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ორგანიზებული დანაშაულობა ხშირად არის მჭიდრო სიმბიოზურ მდგომარეობაში თავის მსხვერპლთან - ფიზიკურ პირებთან და ორგანიზაციებთან, მათ კორუფციული კავშირები აქვთ თავიანთი ქვეყნის სახელმწიფოებრივ სტრუქტურებთან, რაც გამორიცხულია ტერორისტული ჯგუფების შემთხვევაში, რადგან მათ მკაცრი წინააღმდეგობრივი ურთიერთობა აქვთ, როგორც სახელმწიფოსთან, ასევე მის მოქალაქეებთან.[19]

ამჟამად უკვე ნათელია, რომ დამნაშავეთა ეთნო-კლანური, პოლიტიზებული, ზოგადი სისხლისსამართლებრივი მიმართულების გაერთიანებები აქტიურად სარგებლობენ ტერორისტთა მეთოდებით. ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისათვის ისინი ამზადებენ სპეციალურ დივერსიულ ჯგუფებს და ცალკეულ ფანატიკოს მკვლელებს. მაგალითად, აფხაზური და ჩეჩნური კლანები იყენებენ რუსეთის სპეციალური სამსახურების ინსტრუქტორების, სხვადასხვა ავღანური და არაბული ტერორისტული ფორმირებების გამოცდილებას, მაგრამ ეთნო-კლანები თავისი შინაარსით და სოციალური მიმართულებით უფრო მეტად ორგანიზებულ დანაშაულობას განეკუთვნებიან, ვიდრე ტერორისტულ ორგანიზაციებს, რადგან მათი საქმიანობა მიმართულია არა გათელილი უფლებების ან ისტორიული სამართლის აღდგენისკენ, არამედ ხელისუფლების ხელში ჩაგდებისკენ, ეთნო-კონტროლის დაწესებისა და ეკონომიკის შედარებით მომგებიან სფეროებზე გაბატონებისკენ. [20]

---

[18] ფ. ადლერი, გ.ო.ვ მიულერი, ვ.ს ლაუფერი, შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში, გვ. 343

[19] William G., The Encyclopedia of Police Science, NY, 1995, pp 495

[20] ფ. ადლერი, გ.ო.ვ მიულერი, ვ.ს ლაუფერი, შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში, გვ 343.

2.3 ტერორიზმის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

კაცობრიობის ისტორიაში ტერორიზმის ნიშნების მატარებელი მოვლენები მრავლად მოიძებნება. ძალადობრივი მეთოდებით მიზნების მიღწევის მცდელობები საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპს ახასიათებდა. მიზნის მიღწევის ძალადობრივი მეთოდების და საშუალებების გამოყენების მიზეზები და პირობები მრავალგვარია. მას ხელს უწყობს საზოგადოების ისტორიული განვითარების მსვლელობაში წარმოშობილი სხვადასხვა ხასიათის (პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ა.შ) პრობლემები.

მსოფლიო ტერორიზმის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს ძვ. წ. 44 წელს მომხდარი ფაქტი - გაიუს იულიუს კეისრის მკვლელობა. კეისრის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ორგანიზატორი და ერთ-ერთი მკვლელთაგანი გახლდათ მარკუს იუნიუს ბრუტუსი.[21]

ტერორიზმი უძველეს დროში იღებს სათავეს. თანამედროვე ტერორისტული წარმონაქმნების ერთ-ერთ მამამთავრად, შესაძლოა, ზელოტები მივიჩნიოთ, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვით 1-ლი საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდნენ. ისინი რელიგიურ-პოლიტიკურ მიმდინარეობას მიყვებოდნენ. ეს პერიოდი ემთხვევა რომაელების ბატონობას იუდეაში, როდესაც კოლონიური ადმინისტრაციის სასტიკმა დამოკიდებულებამ იუდეის მკვიდრთა მიმართ აპოთეოზს მიაღწია. რომაელების მხრიდან გამოხატული უპატივცემულობა იუდეველთა და სამარიელთა რელიგიაზე განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევდა მათში. ამ ფაქტმა გამოიწვია ზელოტთა შეხედულებების რადიკალიზაცია, რასაც მოსახლეობაში მათი ავტორიტეტის ზრდა მოჰყვა. თუმცა, ზელოტების პოზიციებს რეგიონის მთელი მოსახლეობა არ უჭერდა მხარს. მოქალაქეთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ კონფლიქტის მოგვარება მშვიდობიანი გზით ჯობდა, რადგან ესმოდათ, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლო იყო რომის იმპერიასთან სისხლიან კონფლიქტში მოყოლილიყვნენ. ზელოტების რადიკალიზაციამ გამოიწვია ის, რომ მოძრაობის შიგნით წარმოიქმნა მებრძოლი ფრთა, რომელსაც „სიკარიუსები“ ეწოდა. სიკარიუსთა რიგებში შედიოდნენ მებრძოლები, რომლებიც მზად იყვნენ, ფანატიკური დავალებები საკუთრი სიცოცხლის ფასადაც კი შეესრულებინათ.[22]

ზელოტებისა და სიკარიუსების მოქმედებებში რელიგიური რადიკალიზმისა და ორგანიზებული ტერორიზმი შეინიშნება. ისინი მისდევდნენ ესქატოლოგიურ რელიგიას, უბედურებებსა და ტანჯვაში სიკეთეს ხედავდნენ, ტოტალური სისასტიკის გამოყენებაში კი - გზას, რომელიც მათ თავისუფლებასთან მიიყვანდა.

---

[21] ს. ჩქოფოია, კ. ჭყოიძე, საერთაშორისო ტერორიზმი (იდეოლოგია და პოლიტიკა), თბილისი 2015, გვ. 16
[22] ბ. ნაჭყებია, ტერორიზმი - ისტორია, დეფინიცია, ტიპოლოგია, თბილისი 2019 წ. გვ. 25

მონათმფლობელურ სახელმწიფოებში ტერორიზმის მთავარ სუბიექტს წარმოადგენდა სახელმწიფო, რომელიც იყენებდა ტერორს (დაშინებას), როგორც კანონიერ საშუალებას მასობრივი იძულებითი შრომისათვის, საზოგადოების მართვისთვისა და პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დათრგუნისათვის. ტერორისტული საქმიანობა მიმართული იყო, როგორც ქვეყნის შიდა, ისე გარე ფუნქციების განხორციელებისკენ. აქედან გამომდინარე ადრეულ ტერორიზმს პოლიტიკურთან ერთად გააჩნდა ეკონომიკური მოტივიც.[23]

შუა საუკუნეების ტერორისტული ორგანიზაციის კლასიკური მაგალითია „ასასინების" სახელწოდებოთ ცნობილი სექტა. მეთერთმეტე საუკუნის ბოლოსკენ ჰასან იბნ ას-საბახმა დაიპყრო თანამედროვე ირანის ჩრდილოეთით მდებარე ციხე-სიმაგრე ალამუთი და ჩამოაყალიბა სექტა ძალიან ბუნდოვანი რელიგიური მოტივებით. ამ პერიოდიდან მოყოლებული თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში „ასასინები" აკონტროლებდნენ სივრცეს შუა ზღვიდან სპარსეთის ყურემდე. ისინი კარგად ფლობდნენ დივერსიულ და ძალადობრივ მეთოდებს. სექტის წევრები შიშის ზარს სცემდნენ რეგიონის მმართველი დინასტიის წარმომადგენლებს და ფაქტობრივად მოუხელთებელნი იყვნენ. მათი მსხვერპლი გახდა ასობით ხალიფი და სულთანი, ასევე მხედართმთავრები და ოფიციალური სასულიერო პირები.[24]

ასასინები გაძლიერდნენ ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში, როდესაც ახლო აღმოსავლეთში გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა წმინდა ადგილებზე ძალაუფლების მოსაპოვებლად. ჰასან იბნ ას-საბახმა დაასაბუთა იმ სამიზნეებზე წერტილოვანი დარტყმების განხორციელების შესაძლებლობის თეორია, რომლებიც მისთვის შესაძლო საფრთხეს წარმოადგენდნენ. მისი მეომარი ასასინები გარდასახვის ხელოვნებას იმდაგვარად ფლობდნენ, რომ მოწინააღმდეგის ბანაკში ჩასანერგად შეეძლოთ რელიგიაც კი შეეცვალათ და დარტყმა საჭირო დროს მიეყენებინათ.[25]

როგორც წესი, მათ სიკვდილის შიში არ ჰქონდათ, წინასწარი აქტიური რელიგიური მომზადების წყალობით. ასასინების მეთოდები შესაძლოა ასე დაიყოს:

- ფსიქოლოგიური მომზადება;
- რელიგიური მომზადება, მათ შორის, სამოთხის იმიტაციაც კი;
- საგანმანათლებლო მომზადება, ენის, ტრადიციების, სხვა ხალხების ადათ-წესებისა და რელიგიების შესწავლა;
- ფიზიკური მომზადება;
- ტექნიკური მომზადება;

[23] გ. გორაშვილი, ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება, თბილისი 2011 წ., გვ 26.
[24] ს. ჩქოფოია, კ. ჭყოიძე, საერთაშორისო ტერორიზმი (იდეოლოგია და პოლიტიკა), თბილისი 2015, გვ. 16
[24] იქვე. გვ. 18
[25] ბ. ნაჭყებია, ტერორიზმი - ისტორია, დეფინიცია, ტიპოლოგია, თბილისი 2019 წ. გვ. 26.

- ჩაგონება ფანატიზმის გაძლიერების მიზნით, ილუზორული და მისტიკური მეთოდების გამოყენებით;
- ნარკოტიკული პრეპარატების, უმთავრესად, ოპიუმის ყაყაჩოს გამოყენებით მომზადება.[26]

ზელოტების მსგავსად, გახმაურებულ მკვლელობებს ასასინებიც საზოგადოებაზე შიშისა და ძალადობის კუთხით ზემოქმედებისთვის იყენებდნენ. თუ ზელოტებს ტერორიზმის მამამთავრებად მივიჩნევთ, მაშინ ასასინები უნდა განვიხილოთ, როგორც საერთაშორისო მასშტაბის პირველი ტერორისტული ორგანიზაცია.

აღსანიშნავია ასევე 1605 წელს მომხდარი „დენთის შეთქმულება“, რომელსაც ტერორიზმისთვი დამახასიათებელი ნიშნები გააჩნია. ჯგუფს ხელმძღვანელობდა ყოფილი არმიის კაპიტანი გაი ფოკსი. უკმაყოფილო ჯგუფს სურდათ პარლამენტის აფეთქება, როდესაც მეფე ჯეიმს 1-ლი იქნებოდა შიგნით. მათ მიზანს წარმოადგენდა კათოლიციზმის აღდგენა.[27]

ახალი დროის ტერორიზმის ისტორიაში გამოყოფენ მისი განვითარების 4 ეტაპს, რომლებიც დაკავშირებულია შემდეგ მოვლენებთან:

1. 1880-იან წლებში რუსეთში, ევროპაში, მოგვიანებით ჩრდილოეთ ამერიკაში, რევოლუციური იდეოლოგიების გავრცელებასთან;
2. მე-20 საუკუნის ანტიკოლონიური, ნაციონალ-გამათავისუფლებელ მოძრაობებთან;
3. მე-20 საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს დაწყებული გლობალიზაციის პროცესებთან, რომლებიც დღემდე გრძელდება;
4. რელიგიურ ტერორიზმთან.[28]

დროთა განმავლობაში ტერორიზმმა ახალი ნიშნები შეიძინა. მე-19 საუკუნის ბოლოს განსაკუთრებული ტერორისტული აქტივობებით გამოირჩეოდა რუსეთი, რა დროსაც ჩამოყალიბდა ისეთი რადიკალური პოლიტიკური მოძრაობები, როგორებიც იყო „ნაროდნიკები“, „ანარქისტები“ და სხვა. აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მყარი ორგანიზაციული სტრუქტურები შექმნეს და ტერორისტულ მეთოდებს საპატიო ადგილი დაუთმეს თავიანთ არსენალში. ცნობილი ფაქტია, როდესაც რუსმა „ნაროდნიკებმა“ სანკტ-პეტერბურგის ცენტრში მოკლეს 1878 წელს რუსეთის ჟანდარმერიის უფროსი ნ.ვ. მეზენცევი.[29]

---

[26] ბ. ნაჭყებია, ტერორიზმი - ისტორია, დეფინიცია, ტიპოლოგია, თბილისი 2019 წ, გვ. 27

[27] https://www.nationalgeographic.com/history/magazine/2017/11-12/history-the-explosive-truth-about-guy-fawkes/

[28] ს. ჩქოფოია, კ. ჭყოიძე, საერთაშორისო ტერორიზმი (იდეოლოგია და პოლიტიკა), თბილისი 2015, გვ. 16

[28] იქვე. გვ. 19

[29] გ. გორაშვილი, ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება, თბილისი 2011 წ., გვ 30.

ზემო აღნიშნულ პერიოდში ტერორისტული ორგანიზაციები სიამაყით ეძახდნენ საკუთარ თავებს ტერორისტებს, ხოლო მათ საქმიანობას ტერორიზმს. ხოლო მოგვიანებით ამ საკითხისადმი მიდგომა შეიცვალა. მე-20 საუკუნის შუა პერიოდიდან არაკანონიერი ორგანიზაციების სახელწოდებიდან ტერმინი „ტერორიზმი“ გაქრა და თავიანთ თავებს თავისუფლებისათვის ბებრძოლებს უწოდებდნენ. მაგალითად ებრაელთა ტერორისტული ჯგუფი, რომელიც 1940-იან წლებში არსებობდა საკუთარ თავებს „ისრაელის თავისუფლებისათვის მებრძოლებს“ უწოდებდნენ.[30] თუნდაც დღეს არსებული ტერორისტული ორგანიზაციები ავიღოთ, ისინი სახელწოდების შერჩევისას თავს არიდებენ სიტყვა „ტერორიზმის“ გამოყენებას და იყენებენ ძირითადად ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა: თავისუფლება, არმია, გამათავისუფლებელი ორგანიზაცია და ა.შ.

მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი განსხვავებული სოცალურ-პოლიტიკური წყობა: სოციალისტური და კაპიტალისტური, რომელთა დაპირისპირება „ცივი ომის“ სახელით არის ცნობილი. ამ პერიოდში ტერორისტული აქტივობები მძლავრად იყო და ხასიათდება ტერორისტული მრავალფეროვნებით. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში აქტუალური გახდა მოვლენა, რომელიც შემდეგ ტეროლოგებმა დაახასიათეს, როგორც „სახელმწიფოს ხელშეწყობით წარმოებული ტერორიზმი“.[31]

საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაფერს აკეთებდნენ მოწინააღმდეგის დასასუტებლად. იყენებდნენ დიპლომატიურად მიუღებელ მეთოდებს და ეფექტურად იყენებდნენ ტერორიზმს. ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთის წინააღმდეგ სხვადასხვა ტერორისტული დაჯგუფებების საშუალებით ცდილობდნენ დაესუსტებინათ მოწინააღმდეგე. ისინი ხელს უწყობდნენ ტერორისტულ ორგანიზაციებს ყველანაირად, აფინანსებდნენ, აქეზებდნენ, მხარს უჭერდნენ და ა.შ. რა თქმა უნდა, ისინი საიდუმლოდ ახორციელებდნენ ამგვარ საქმიანობას. აშშ და საბჭოთა კავშირი ტერორიზმის საშუალებით ებრძოდნენ ერთმანეთს, ოფიციალური საომარი მოქმედებების გარეშე, რაც მათ საშუალებას აძლევდათ მოწინააღმდეგე უფრო მეტად დაესუსტებინათ და გაცილებით ნაკლები დანახარჯები ჰქონოდათ.

[30] https://www.jewishvirtuallibrary.org/lohamei-herut-yisrael-lehi

[31] გ. გორაშვილი, ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება, თბილისი 2011 წ., გვ 33.

2.4. ტერორიზმის ფორმები და სახეები

ტერორიზმის განსაკუთრებული სირთულე მდგომარეობს მის ფორმათა მრავალფეროვნებაში. ცნობილი უცხოელი და ქართველი ისტორიკოსები, სამართალმცოდნეები და ფილოსოფოსები ტერორიზმის სისტემატიზაციასა და კლასიფიკაციას სხვადასხვანაირად ახორციელებენ. მათ მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციის სპეციფიკური კრიტერიუმები საშუალებას იძლევა უფრო მარტივად გავიაზროთ ტერორიზმის საზოგადოებრივი საფრთხე და გამოვავლინოთ ის ნიშნები, რომლებიც მნიშვნელოვანია სისხლისსამართლებრივად, რათა სწორად გავსაზღვროთ ტერორისტული დანაშაულის შემადგენლობა.

აუცილებელია გამოვყოთ ტერორიზმის ფორმები და სახეები. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ტერორიზმთან ბრძოლის ბევრი წარუმატებელი შემთხვევა გამოიწვია ყველა ტერორისტული აქტის მიმართ ერთნაირმა მიდგომამ. კლასიფიკაციის პრობლემის მოგვარებაზეა დამოკიდებული სისხლისსამართლებრივი რეგულირების ეფექტურობა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა შესაბამისი მნიშვნელოვანი მატერიალური და თეორიული მონაცემები.

1970 წელს ტერორიზმისგან მოსახლეობის დაცვისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე დაასახელეს ტერორიზმის 3 ფორმა: პოლიტიკური, სოციალური და იდეოლოგიური.[32]

პოლიტიკური ტერორიზმი სიახლეს არ წარმოადგენს. ის ტერორიზმის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა და პოლიტიკურად მოტივირებულ მკლველობას, ძალადობას ან ძალადობის მუქარის გამოყენებას სახელმწიფო თანამდებობის პირების, მოსახლეობის ან სხვადასხვა ობიექტების წინააღმდეგ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ის ხორციელდება ცალკეული პირის ან პირთა ჯგუფის მიერ, რომლებიც მოქმედებენ მთავრობის დავალებით ან რომელიმე მთავრობის წინააღმდეგ.[33]

პოლიტიკური ტერორიზმში იგულისხმება ძალადობრივი პოლიტიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებაში შიშის დანერგვას. პოლიტიკური ტერორიზმი რევოლუციისგან იმით გამოირჩევა, რომ ტერორისტული აქტების უშუალო მიზანი არის დაშინება, ვიდრე არსებული მთავრობის დამხობა.

პოლიტიკური ტერორიზმისთვის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ასევე სახელმწიფოს მიერ საკუთარი მოსახლეობის დაშინება ტერორის განხორციელებით გარკვეული მოთხოვნის დაკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით.[34]

---

[32] М. И. Рудольфович, Терроризм: понятие, ответственность, Предупреждение, ст. 7.
[33] იქვე.
[34] https://cyberleninka.ru/article/n/politicheskiy-terrorizm-i-ego-ugolovno-pravovaya-traktovka

იდეოლოგიური ტერორიზმი ხორციელდება, როდესაც ტერორისტების მიზანია ძალის გამოყენებით შეცვალონ ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი წყობა საკუთარი სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებების მიხედვით. ასეთი იდეოლოგია შეიძლება ერთ ქვეყანაში ითვლებოდეს მარგინალურად და იდევნებოდეს, ხოლო მეორეში საპარლამენტო და სახელისუფლებო იყოს. ტერორისტები ამართლებენ თავის მოქმედებას ხალხზე ზრუნვის საბაბით.[35] ამის მაგალითებია: ფაშისტები, ბოლშევიკები, ფრანგი ანარქისტები, წითელი ბრიგადები და სხვა.

სოციალური ტერორიზმი ფორმირდება ღრმა სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტების საფუძველზე და ვლინდება ორი ძირითადი ფორმით: მემარჯვენე და მემარცხენე სოციალური ტერორიზმით. მემარცხენე ტერორიზმი იდეოლოგიურად ორიენტირებულია სხვადასხვა მემარცხენე დოქტრინებზე (მარქსიზმი, ლენინიზმი, ანარქიზმი და ა.შ). მემარცხენე ტერორსტების სამიზნეს წარმოადგენს ბიზნესის წარმომადგენლები, სახელმწიფო მოხელეები, უსაფრთხოების სამსახურები, დამოუკიდებელი სამთავრობო თანამშრომლები (ეკონომისტები, იურისტები, ჟურნალისტები), პოლიტიკური პარტიები. მემარცხენე ტერორისტები თავიანთ ქმედებებს ახორციელებენ საერთაშორისო მასშტაბებით. როგორც წესი, მემარცხენე ტერორისტები მოქმედებენ მაშინ, როდესაც ქვეყანაში იწყება შიდა კრიზისი. აღნიშნული ტერორისტული ფორმირებები ხანგრძივად არ ფუნქციონირებენ, თუმცა გამონაკლისია პარტიზანული მემარცხენე ტერორისტული ორგანიზაციები (მაგალითად: ლათინო ამერიკული და გერმანული დაჯგუფებები.) „ცივი ომის“ პერიოდში მემარცხენე ტერორისტებს ჰქონდათ დიდი მხარდაჭერა ბევრი სოციალისტური ქვეყნისაგან. 1970-1980 წლებში მემარცხენე ტერორისები, განსხვავებით მათი ოპონენტებისგან (მემარჯვენე ტერორისტები) იყენებდნენ შეიარაღებული თავდასხმების ტაქტიკას და ნაკლებად იყენებდნენ აფეთქებების ტაქტიკას, რასაც დიდი რაოდენობით მსხვერპლი მოჰყვება ხოლმე. მემარჯვენე ტერორისტები ორიენტირებულები არიან ტრადიციულ-ეროვნული ფასეულობებით. ისინი ფუნქციონირებენ მოკლე დროით და აქტიურდებიან, როდესაც არის უდიდესი საფრთხე მემარცხენე ძალებისაგან. მემარცხენე ტერორისტებისაგან განსხვავებით, მემარჯვენეები ნაკლებად აფუძვნებენ სპეციალიზირებულ საბრძოლო ორგანიზაციებს და უპირატესობას ანიჭებენ საიდუმლოდ მოქმედებას ლეგალურ ორგანიზაციებში. მათი მნიშვნელოვანი მოქმედებები ხდებოდა 1905-07 წლებში რუსეთის რევოლუციის დროს (მაგ: მიხაილ არხანგელის კავშირი), მეორე მსოფლიო ომის დროს ევროპაში ნეოფაშისტური დაჯგუფების ფორმით და ლათინო ამერიკაში „სიკვდილის რაზმები“.[36]

---

[35] https://pltf.ru/2017/08/17/ideologicheskii-terrorism-vcherashnii-den/

[36] https://slovar.cc/ist/terror/2274057.html

მეცნიერი ქ. უილსონი გამოყოფს ტერორიზმის ოთხ ტიპს: კრიმინალურს, პოლიტიკურს, სამხედროსა და რელიგიურს.

მისი განმარტებით კრიმინალური ტერორიზმი გულისხმობს, ტერორიზმის გამოყენების დაგეგმვას, რომლის მიზანია ფინანსური ან/და მატერიალური სარგებლის მიღება. პოლიტიკური ტერორიზმი გამოიყენება, რათა ძალადობის და დაშინების საფუძველზე ტერორისტებმა მიაღწიონ თავიანთ მიზნებს. სამხედრო ტერორიზმის საშუალებით ხდება შეიარაღებულ კონფლიქტებში ნებისმიერი საშუალებით მოწინააღმდეგის დაშინება. ხოლო რაც შეეხება რელიგიურ ტერორიზმს, მეცნიერის განმარტებით ეს არის ძალადობრივი ქმედება, რომლის დროსაც ტერორისტები რელიგიურად მოტივირებულები არიან.[37]

იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ სუიციდურ ტერორზმს, რომელიც გულისხმობს, გარკვეული პოლიტიკური მიზნის მისაღწევად საკუთარი სიცოცხლის შეწირვას. სუიციდური ტერორზმი უფრო მეტად უქმნის საფრთხეს სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებას, ვიდრე სხვა სახის ტერორიზმი, რადგან თვითმკვლელი ტერორისტი თავს ესხმის ისეთ სამიზნეებს, სადაც უფრო მეტი სამოქალაქო პირია და აღკვეთის საშუალებები ბევრად უფრო რთულია.

თვითმკვლელი ტერორისტის მიერ განხორციელებული თავდასხმისას მან კარგად იცის, რომ გადარჩენის შანსი არ აქვს და ამიტომ მისი მეთოდი მდგომარეობს საკუთარი თავის გაწირვით მაქსიმალური შედეგის მიღწევაში. თვითმკვლელი ტერორისტების ქმედებები ძირითადად გამოიხატება თვითმფრინავის შეჯახებაში, საკუთარ სხეულზე მიმაგრებული ასაფეთქებელი საშუალებით ხალხმრავალ ადგილას აფეთქებაში და სხვა.[38]

საქმე კიდევ უფრო რთულდება, როდესაც თვითმკვლელი ტერორისტი მოქმედებს რელიგიური მოტივით. მაგალითად თუ ნაციონალისტურად განწყობილ ტერორისტებთან მოლაპარაკება შეიძლება, რელიგიურად განწყობილ ტერორისტებსტებთან ეს თითქმის შეუძლებელია, რადგან მათ სჯერათ, რომ საკუთარი თავის გაწირვით აუცილებლად მოხვდებიან სამოთხეში.[39]

სუიციდური ტერორიზმის მაგალითია 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში, ვაშინგტონსა და პენსილვანიაში მომხდარი ტერორისტული აქტები. სწორედ თვითმკვლელმა ტერორისტებმა გაიტაცეს სამგზავრო თვითმფრინავები და გამიზნულად შეაჯახეს ისინი სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს, რის შედეგადაც დაახლოებით 3000 ადამიანი დაიღუპა 25 000-მდე დაშავდა.

---

[37] Matthew C. Wilson and James A. Piazza, Autocracies and Terrorism: Conditioning Effects of Authoritarian Regime Type on Terrorist Attacks, 2013, pp. 950

[38] http://dpr.ru/pravo/pravo_32_15.htm

[39] https://www.hsaj.org/articles/14749

კ.ნ სალიმოვი განიხილავს კრიმინალურ ტერორიზმს. სალიმოვის აზრით კრიმინალური ტერორიზმი ორგანიზებული დანაშაულის გამოვლინების უმაღლესი ფორმაა და შეუძლია თავი გამოიჩინოს, როგორც კრიმინალური გამოვლენის უკიდურესი ზომა და არ წარმოადგენს დაქირავებულ-ძალადობრივი დანაშაულის თანმდევ ელემენტს. ავტორის განმარტებით კრიმინალური ტერორიზმის დროს, ტერორისტები როგორც წესი იყენებენ იარაღსა და ასაფეთქებელ საშუალებებებს და ხშირად დანაშაულს ჩადიან საჯაროდ „ზოგჯერ თუნდაც ხელისუფლებისა და სამართალდამცავი ორგანოების წინაშე“.[40]

იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით ასევე რელიგიურ ტერორიზმს, რაც გულისხმობს რელიგიური ძალადობის ერთგვარ სახეობას, როდესაც ტერორიზმი გამოიყენება, როგორც ტაქტიკა რელიგიური მიზნების მისაღწევად ან რომელიც გავლენას ახდენს რელიგიურ თვითმყოფადობაზე. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდებიან რელიგიის სხვადასხვა წარმომადგენლები და ხდება ერთი რელიგიური წარმომადგენლების მიერ მეორე რელიგიური წარმომადგენლების დაშინება. რელიგიური ტერორიზმის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ისლამური ტერორიზმია, რომელთა ლიდერი ახლო წარსულში ცნობილი ტერორისტი ოსამა ბინ ლადენი იყო, რომელმაც ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ქაიდა“ დაარსა.[41]

ისლამისტ-ფუნდამენტალისტებს ტერორიზმის საშუალებით ცდილობენ შთააგონონ მუსლიმანური სამყარო და უარი ათქმევინონ დემოკრატიულ ფასეულობებზე, ხოლო დასავლეთის ქვეყნები ამ გზით დააშინონ.

ტერორიზმის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს კიბერ ტერორიზმი. კიბერ ტერორიზმი არის კომპიუტერზე, ქსელზე და მათში არსებულ ინფორმაციაზე შეტევის ან შეტევის განხორციელების მუქარა, სახელმწიფოს ან მისი ხალხის პოლიტიკურად, სოციალურად, რელიგიურად ან იდეოლოგიურად დაშინების მიზნით. თუმცა ეს განმარტებაც არაა ზუსტი, რადგან კიბერ ტერორიზმი ასევე მოიცავს სახელმწიფო ფინანსებზე ან ეროვნულ კომპანიებზე თავდასხმას და მათი მონაცემების გამოყენებას სხვადასხა ფულადი თუ სხვა სახის მაქინაციებისთვის, რომელიც მიმართულია ქვეყნის წინააღმდეგ.[42]

კიბერტერორისტად შეგვიძლია მივიჩნიოთ პირი/ჯგუფი, რომელიც ზემოთ დასახელებულ ქმედებებს განახორციელებს, ან კიბერ ტერორიზმის ფაქტად შევრაცხოთ ქმედება, რომელსაც განახორციელებს ტერორისტული დაჯგუფება საკუთარი

[40] М. И. Рудольфович, Терроризм: понятие, ответственность, Предупреждение, ст. 8
[41] Р. Эмануилов, А. Яшлавский, Террор во имя веры: религия и политическое насилие, ст. 39
[42] http://www.ibtimes.com/obama-says-cyberterrorism-countrys-biggest-threat-us-government-assembles-cyber-warriors-1556337

ინტერესებისათვის, რომელიც იმავდროულად ან მომავალში სახელმწიფოებისა და მმართველობების წინააღმდეგ იქნება გამოყენებული.

კიბერტერორისტები იჭრებიან სახელმწიფო სტუქტურების კომპიუტერულ ქსელებში და იპარავენ სახელმწიფო დონის უსაფრთხოების ინფორმაციებს. ასევე ავრცელებენ ცრუ ინფორმაციას, რათა სახოგადოებაში დათესონ პანიკა და წარმოშვან დესტაბილიზაცია. შესაძლოა გაუკეთონ პროვოცირება სხვადასხვა ანტისამთავრობო მოძრაობებს და სხვა. კიბერტერორისტების მიზანს, არა მხოლოდ სახელმწიფო სტურქტურები და ეროვნული თუ ტრანსნაციონალური კომპანიები წარმოადგენს, არამედ უბრალო მოსახლეობაც. ისინი იყენებენ ფიზიკური პირის მონაცემებს სხვადასხვა მაქინაციების ჩასატარებლად და კვალის დასაფარავად.[43]

კიბერტერორისტული ქმედებები ხშირად იჩენს თავს ომისა და კონფლიქტების დროს. შესაძლოა კიბერ თავდასხმა ერთმა ქვეყანამ განახორციელოს მეორეზე. მაგალითად 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, რუსეთი თავს დაესხა ქართულ საიტებს, შექმნა ინფორმაციული ვაკუუმი, რაც კიბერ ტერორიზმის ერთ-ერთი საშუელებაა საზოგადოებაში პანიკის გამოსაწვევად.

ა. კოტის აზრით, ინტერნეტის განვითარებასთან ერთად კიბერ-ტერორისტების რაოდენობა იზრდება: ისინი ტეხავენ საჯარო დაწესებულებების კომპიუტერებს, ხელს უშლიან სპეცსამსახურების ფუნქციონირებას და ბლოკავენ სხვადასხვა სახის ინფორმაციულ ნაკადს. ამ სახის ტერორიზმი მოქმედებს ინტელექტუალურ სფეროში და მისი წარმატება უზრუნველყოფილია ინტელექტის დონით.[44]

ტერორიზმს უმეტესწილად წარმოშობს სოციალურ-პოლიტიკური უსამართლობა და ეკონომიკური რესურსების განაწილების უთანაბრობა. ტეროლოგიაში (მეცნიერება ტერორიზმის შესახებ) ტერორიზმის გამომწვევ მიზეზებად მიიჩნევენ ისეთ გარემოებებს, როგორიცაა რასიზმი, რელიგიური ფანატიზმი, სეპარატიზმი, ნარკობიზნისი, აგრესიული პოლიტიკა და ა.შ.[45] ხოლო ტერორისტის პიროვნების შესწავლას რაც შეეხება, ტერორისტი შეიძლება იყოს რელიგიური ფანატიკოსიდან დაწყებული უბრალო კრიმინალით დამთავრებული.

გაერო-ს სპეციალურმა კომიტეტმა 1979 წელს გამოსცა ტერორიზმის გამომწვევი მიზეზების ფორმულირება. ესენია: ნეოკოლონიალიზმი, რასიზმი, აგრესიული პოლიტიკა, უცხო ტერიტორიის ოკუპაცია და მათი შედეგები: უსამართლობა, არათანასწორობა, დაკნინება და ექსპლუატაცია.

---

[43] https://list25.com/25-biggest-cyber-attacks-in-history/

[44] А. Кота, Эпоха терроризма, Международный терроризм и право, 2004. ст. 56.

[45] https://arbat.mos.ru/countering-extremism/

ტერორიზმის წარმოქმნას სხვადასხვა პირობები უწყობს ხელს. მისი გამოწვევა უმეტესად დაკავშირებულია სახელმწიფო აპარატის სისუსტესთან, საშინაო და საგარეო პოლიტიკის არასწორ და დესტრუქციულ წარმართვასთან, ასევე ეთნოფსიქოლოგიური კანონზომიერების იგნორირებასთან. მისი წარმოშობა და განვითარება შეიძლება მოხდეს, როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოში, ასევე დიქტატორულშიც.[46]

[46] გ. ქელდიშვილი, ტერორიზმი და ტერორისტული აქტები, თბილისი, 2015 წ., გვ. 43

თავი III. ტერორიზმი, თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევა

3.1. ტერორიზმი თანამედროვე მსოფლიოში

ტერორიზმი 21-ე საუკუნის უდიდეს გამოწვევად იქცა თანამედროვე მსოფლიოს ყველა ქვენისათვის. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები და ორგანიზაციები ყველაფერს აკეთებენ, რომ აღკვეთონ ტერორისტული საფრთხეები, მაგრამ სამწუხაროდ ევროპისა და ამერიკის ქალაქები არაერთხელ გახდა ტერორისტული თავდასხმის მსხვერპლი. მსოფლიო დღეს თანხმდება, რომ ტერორიზმი ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისთვის.

ტერორიზმი საფრთხის ქვეშ აყენებს მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას. 2001 წლის 11 სექტემბრის ნიუ-იორკში მომხდარი ტერორისტული თავდასხმის შემდეგ, ისეთი ძლიერი ორგანიზაციები როგორიცაა ნატო, გაერო, ევროკავშირი დღესაც ეძებენ ტერორისტული აქტებისაგან თავდასაცავ გზებს.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევრამდე ტერორისტების მთავარი სამიზნე ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ. მაგრამ თანამედროვე ეპოქაში ტერორისტული აქტების სამიზნედ იქცა არა მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლები და პოლიტიკოსები, არამედ ყველა მოქალაქე.

ტერორისტები უმეტეს შემთხვევებში რამოდენიმე მიზანს ისახავენ ერთდროულად. მაგალითად ცნობილი ტერორისტულ დაჯგუფებას „ალ-ქაიდას“ სამი მიზანი აქვს დასახული: პირველი არის ის, რომ შექმნას ისლამის ხალიფატი, ანუ ჩამოაგდოს თანამედროვე მუსლიმური ქვეყნების მთავრობები; მეორე მიზანია ის, რომ განდევნოს „კაფირები“ (არამუსლიმები) ოკუპირებული ისლამური ტერიტორიებიდან (მაგალითად, აშშ-ის ერაყიდან); მესამე მიზანს წარმოადგენს ევროპის, ამერიკის და სხვა განვითარებული ქვეყნების საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლა.[47]

თანამედროვე ტერორიზმს ძლიერი ფინანსური მხარდაჭერა აქვს, რაც გარკვეული ფაქტორებითაა განპირობებული. ტერორისტული დაჯგუფებების აქტიური საქმინობა ამარტივებს მსოფლიო ბაზრებზე ნარკოტიკების მიწოდებას და ამით მილიარდობით დოლარი შესდით შემოსავალი. იარაღით ვაჭრობის მეათედი კი ტერორისტებზე მოდის. ტერორისტები აკონტროლოებენ ასევე ისეთ უკანონო ქმედებებს, როგორიცაა, პროსტიტუცია, რეკეტი, სათამაშო ბიზნესი და ა.შ

[47] https://militaryarms.ru/armii-mira/al-kaida/

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ყოველ წელს აქვეყნებს ტერორიზმის შესახებ ანგარიშს, სადაც მიუთითებს ყველაზე მეტად ტერორიზმის დამფინანსებელ სახელმწიფოებს. აღნიშნული დეპარტამენტი ტერორიზმის აქტიურ დამფინანსებლად თვლის ირანს, ჩრდილოეთ კორეას, კუბას და სირიას. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით აშშ კრძალავს ზემო აღნიშნულ სახელმწიფოებთან იარაღის მიწოდებას და ამკაცრებს კონტროლს ორმაგი დანიშნულების საქონლის მიწოდებაზე.[48]

ტერორიზმი დიდი ხანია მტკიცედ შემოვიდა თანამედროვე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პოლიტიკურ რეალობაში და გახდა ნამდვილი კატასტროფული ფაქტორი. თანამედროვე პირობებში, ექსტრემისტული პირების, ჯგუფებისა და ორგანიზაციების ტერორისტული საქმიანობა იზრდება, მისი ხასიათი უფრო რთულდება, იზრდება ტერორისტული აქტების დახვეწილობა და ანტიჰუმანურობა. მსოფლიო საზოგადოებას შორის წარმოშობილი მძიმე კონფლიქტი კიდევ უფრო ართულებს ტერორიზმის პრობლემას. ტერორიზმი გახდა მომგებიანი საქმიანობა მათი ორგანიზატორებისათვის და კატასტროფოგენური ფაქტორი ადამიანთა საზოგადოებაში.[49]

ტერორისტული დაჯგუფებები დღეს-დღეისობით მრავლადაა კომერციულ, ლეგალურ ორგანიზაციებში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებიც ადრე მალულად იყვნენ და მათი წევრები გასაიდუმლოებულად მოქმედებდნენ, თანამედროვე პირობებში მათ მოახერხეს განშლა და ადაპტირება. ყოველივე ეს გარემოება ართულებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. ისეთი სადაზვერვო დისციპლინები, როგორიცაა ადამიანის დაზვერვა (HUMINT), სიგნალების დაზვერვა (SIGINT), გამოსახულების დაზვერვა (IMINT), გაზომვისა და ხელმოწერის დაზვერვა (MASINT) ვერ უმკლავდება ზემო აღნიშნულ პრობლემას და საჭიროებს დახვეწას, რადგან მიჩნეულია, რომ აღნიშნული კომპონენტები ყველაზე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებთან ბრძოლის წინააღმდეგ.[50]

თანამედროვე ტერორიზმის ეპოქაში, ტერორისტული ორგანიზაციები მთელ მსოფლიოში მოქმედებენ. დროთა განმავლობაში ისინი ხვეწავენ ტერორისტული აქტის მოწყობის მეთოდებს. რაც ყველაზე მთავარია, მათ გააჩნიათ ფინანსური კაპიტალი ბანკებში, ეწევიან იარაღიღ ვაჭრობას და ნარკობიზნესს.[51]

ოსამა ბინ ლადენი, შამილ ბასაევი, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი - ეს იმ ადამიანთა არასრული ჩამონათვალია, რომლებიც მსოფლიოში ცნობილები ტერორიზმის მეშვეობით გახდნენ.

---

[48] https://www.state.gov/reports/country-reports-on-terrorism-2018/

[49] Л. П. Савельева, Терроризм - ты под прицелом, 2011

[50] C. Lewis, Espionage and the War on Terrorism: Investigating U.S. Efforts, pp. 175-182

[51] გ. ქელდიშვილი, ტერორიზმი და ტერორისტული აქტები, თბილისი, 2015 წ., 152 გვ.

რელიგიური, ეთნიკური თუ პირადი იდეოლოგიით მოწყობილი ტერაქტების მსხვერპლნი ხშირად ხდებიან არა უშუალოდ კონკრეტული ძალაუფლების წარმომადგენელი პირები, არამედ რიგითი, უდანაშაულო მოქალაქეებიც. ეს ყველაფერი მაშინვე მედიის ყურადღების ცენტრში ექცევა, ხალხი პანიკაშია, მიზანი მიღწეულია - ტერაქტი მკვეთრ გამოხმაურებას ჰპოვებს და ტერორისტული დაჯგუფებების ძალას ყველა ხედავს.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების სერიას ყველაზე დიდი რეზონანსი მოჰყვა, რომელმაც მსოფლიო შეძრა და ისტორიაში შევიდა როგორც, არამარტო ამერიკის შეერთებული შტატების არამედ მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ მიმართული გამოწვევა. „ალ-ქაიდას“ ტერორისტებმა ყველას აჩვენეს მათი ძალა, ამერიკის დამოუკიდებლობის და სიძლიერის სიმბოლოს მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის აფეთქებით.

მსოფლიო უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის მასობრივი განადგურების იარაღის წარმოება, ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ირანი და სხვა. ამიტომ აშშ-ს სახელმწიფო თავგამოდებით იბრძვის, რომ ეს პროცესი შეაჩეროს, რათა ეს იარაღი არ ჩაუვარდეთ ტერორისტებს. აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის აგენტებისა და ელექტრონული დაზვერვის მეშვეობით, გარკვეული ინფორმაციების მოპოვების შედეგად დადგინდა, რომ ოსამა ბინ ლადენის ტერორისტული ქსელის ტერორისტები აპირებდნენ ურანის და სხვა კომპონენტების შეძენას ზოგი რუსი მეცნიერისგან და სურდათ შეექმნათ თავიანთი მასობრივი განადგურების იარაღი, რომელიც კატასტროფულ ზიანს მიაყენებდა მათ მიერ შერჩეულ სამიზნეს (რომელიმე სახელმწიფოს ქალაქს).[52]

ტერორიზმის ისტორიაში „ისლამური სახელმწიფო“- ს წარმოშობამ კიდევ უფრო გაამწვავა

მდგომარეობა, რამაც მთელი საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია. ისლამური სახელმწიფო არის თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი გამოწვევაა. ISIS-მა შეტევაზე გადასვლის დღიდან, ინტერნეტის საშუალებით უამრავი ვიდეო-მასალა გაავრცელა, რომლებზეც სასტიკი მკვლელობებია ასახული. მებრძოლები ათასგვარ სასჯელს იყენებდნენ მოწინააღმდეგეებისთვის და ამ ყველაფერს კამერით იღებდნენ. თავის მოკვეთა, დაწვა, დახრჩობა, ტანკით გასრესა, მაღალი სართულიდან გადმოგდება ეს არასრული ჩამონათვალია სიკვდილით დასჯის მეთოდებისა, რომლებსაც ISIS-ის მებრძოლები იყენებდნენ. სუნიტი ჯიჰადისტები დაუნდობლად ექცევიან ყველა განსხვავებული რელიგიის ადამიანებს - ქრისტიანებს, იეზიდებს, შიიტებს. მათთვის, ვინც სუნიტი არაა ყველა დამნაშავეა. უნდა აღინიშნოს, რომ ISIS-ს სხვა ტერორისტული ორგანიზაციებისგან განსხვავებით მათ კარგად ორგანიზებული პროპაგანდა აქვს. მზადდება ფილმები, რომლებიც თანამედროვე ტექნიკით

[52] გ. ქელდიშვილი, ტერორიზმი და ტერორისტული აქტები, თბილისი, 2015 წ., 153 გვ.

არის გადაღებული და დამონტაჟებულია პროფესიონალურად. ისინი თავიანთ მოსაზრებებსა და იდეოლოგიას პოლიგრაფიული მასალების საშუალებითაც ავრცელებენ. სწორედ მათ მიერ გადაღებული ფილმებიდან ირკვევა, თუ რას ამკვიდრებენ ისინი ოკუპირებულ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში.

ტერორიზმი და ტერორისტული აქტები უმნიშვნელოვანესი წითელი ხაზია საერთაშორისო უსაფრთხოების ისტორიაში. 2001 წლის 9 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მთელი ცივილიზებული მსოფლიოს პრობლემა გახდა ტერორიზმი. „ისლამური სახელმწიფო“ არ არის არც პირველი და არც უკანასკნელი, ის უბრალოდ ყველაზე მასშტაბური, სასტიკი და მდიდარი ტერორისტული ორგანიზაციაა სახელმწიფოს სახელით კაცობრიობის ისტორიაში. ის, რომ ტერორიზმი 21-ე საუკუნის საფრთხეა, მოწმობს უკანასკნელ წლებში განხორციელებული ტერორისტული აქტების სია:

- 2006 წლის 11 ივლისი, ინდოეთი: მუსლიმი ტერორისტები თავს ესხმიან რკინიგზას მუმბაიში - დაღუპულთა რაოდენობა - 182 ადამიანი, დაშავებულთა რაოდენობა - 770.
- 2010 წლის 1-ლი იანვარი, პაკისტანი: თვითმკვლელი ტერორისტი დანაღმული მანქანით შევარდა ფრენბურთის მოედანზე მატჩის მსვლელობისას - დაღუპულთა რაოდენობა - 105, დაშავებულთა რაოდენობა - 150-ზე მეტი.
- 2011 წლის 4 ნოემბერი, ნიგერია: ცნობილი ნიგერიული ტერორისტული დაჯგუფების „ბაკო ჰარამის“ მიერ ნიგერიის ქალაქ დამატურუში მომხდარი ტერორისტული აქტი, სადაც იყო ავტომობილების აფეთქება და თვითმკვლელი ტერორისტების მიერ შენობებში თავის აფეთქება. დაღუპულთა რაოდენობა - 150, დაშავებულთა რაოდენობა - 500-მდე.
- 2014 წლის 4 ივლისი, უკრაინა: დონბას სეპარატისტმა ტერორისტებმა ჩამოაგდეს მალაიზიის ავიახაზების თვითმფრინავი. დაღუპულთა რაოდენობა - 298
- 2015 წლის 25-29 ივნისი, სირია: „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტებმა სამი დანაღმული მანქანა ააფეთქეს კობანში. დაღუპულთა რაოდენობა - 270, დაშავებულთა რაოდენობა - 300+.
- 2017 წლის 14 ოქტომბერი, სომალი: ტერორისტული დაჯგუფების „ალ-შაბაბის“ სატვირთო ავტომობილის თვითმკვლელი მძღოლების მიერ ქალაქ მოგადიშუში თავის აფეთქება. დაღუპულთა რაოდენობა - 587, დაშავებულთა რაოდენობა - 316

- 2019 წლის 21 აპრილი, შრი ლანკა: „ისლამური სახელმწიფოს“ აფეთქებების სერია შრი-ლანკის რამდენიმე ქალაქში, მათ შორის დედაქალაქ კოლომბოში. დაღუპულთა რაოდენობა - 259, დაშავებულთა რაოდენობა - 500+[53]

დღეისათვის არსებობს ისლმაური ტერორისტული უამრავი ტრანსნაციონალური ორგანიზაცია მათ შორის ყველაზე გავლენიანი და მასშტაბურებია ალ-ქაიდა და ისლამური სახელმწიფო

ალ-ქაიდას შემქმნელად ითვლება წარსულში ცნობილი ტერორისტი ოსამა ბინ ლადენი. ორგანიზაციის ძირითად მიზანს წარმოადგენს პან-ისლამური ხალიფატის დაარსება ისლამურ სამყაროში და შემდეგ მისი ექსპანსია მსოფლიო მასშტაბებით და ისლამურ სამყაროში ე.წ. ,,სვეტური” რეჟიმების დამხობა. ორგანიზაციის მთავარ მტრებად მიჩნეულნი არიან აშშ და ისრაელი. უსამა ბინ ლადენმა ორგანიზაციის იდეოლოგიურ კრედოდ აირჩია ვაჰაბიზმის რელიგია. ,,ალ-ქაიდას” გააქტიურების თარიღად შეიძლება ჩაითავალოს 1990-91 წ. აშშ-ს და საერთაშორისო კოალიციური ძალების მიერ ერაყის წინააღმდეგ ჩატარებული ,,უდაბნოს ქარიშხალის” ოპერაცია. ორგანიზაციის მთავარი მიზანი - აშშ, როგორც ,,ისლამის წმინდა ადგილების წამბილწველი ქვეყანა.” აქედან გამომდინარე, აშკარად ჩანს თუ რატომ აიღო ორგანიზაციამ და მისმა ხელმძღვანელმა ანტიამერიკული კურსი. ამავე დროს ალ-ქაიდას მეორე დაუძინებელ მტერს წარმოადგენს ისრაელი, რომელმაც ორგანიზაციის განცხადებით ,,მიითვისა მესამე ისლამური წმინდა ქალაქი იერუსალიმი”. ფაქტობრივად, ალ-ქაიდას იდეოლოგიურ-პოლიტიკურ საფუძველს შეადგენს ვაჰაბისტური მიმართულების შედარებით აგრესიული ე.წ. ,,დეობანდური” სკოლის დოქტრინა.

ბინ ლადენი, სიკვდილამდე, “ალ- ქაიდას” ლიდერად ითვლებოდა, თუმცა, ორგანიზაციას ერთიანი სტრუქტურა არც ადრე გააჩნდა და არც ახლა გააჩნია. “ალ-ქაიდა” დღეს საერთაშორისო მასშტაბით მოქმედი ისლამისტური ტერორისტული დაჯგუფებების ნაკრებია, რომელთაც, ნაწილობრივ, საერთო მიზნები ამოძრავებთ.[54]

ალ-ქაიდას რწმენა და მეთოდები ეწინააღმდეგება ყურანის ძირითად დებულებებს და ისლამურ ნორმებს. ორგანიზაცია წარმოშობილია ძირითადი მუსლიმანური ფუძიდან, როგორც სხვა არაძალადობრივი მუსულმანური მიმდინარეობები. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ კუ-კლუს-კლანი. ისინი იდეურ საფუძვლად ბიბლიას და ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას იყენებენ. მათ ფიცი დადეს რომ დაიცავდნენ ამერიკულ ღირებულებებს და ქრისტიანულ მორალს.[55]

---

[53] https://en.wikipedia.org/wiki/List_of_terrorist_incidents

[54] ს. ჩქოფოია, კ. ჭყოიძე, საერთაშორისო ტერორიზმი (იდეოლოგია და პოლიტიკა), თბილისი 2015, გვ. 188

[55] B. Knickerbocker, "Anti-Immigrant Sentiments Fuel Ku Klux Klan Resurgence". The Christian Science Monitor, 2008.

„ალ-ქაიდას" დაჯგუფებები იმართებიან დეცენტრალიზებული ქსელის სტრუქტურით, ისინი უმრავლეს შემთხვევაში ერთმანეთს უკავშირდებიან მეთაურთა პირადი კონტაქტებით. სპეციალისტების აზრით, „ალ-ქაიდას" სახელის ქვეშ გაერთიანებულ ყველა ორგანიზაციას თავისი ლიდერი ჰყავს, რომელიც სხვა ლიდერებს არ ემორჩილება. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ „ალ-ქაიდა" უფრო იდეაა, ვიდრე ორგანიზაცია, რომელიც ერთი მიზნით მოქმედებს.

მათ არ გააჩნიათ ორგანიზაციის წევრთა სია და ვინც ფუნდამენტურ-ისლამისტურ ტერორისტულ ჯგუფს ჩამოაყალიბებს შეიძლება ორგანიზაციის წევრად ჩაითვანოს.[56]

ყველაფერი შეცვალა 11 სექტემბრის ტერაქტმა, ალ ქაიდას პოზიციები გაძლიერდა და ფაქტიურად ნომერ პირველ ისლამურ ჯიჰადისტურ ორგანიზაციად იქცა, ხოლო ოსამა ბინ ლადენი ნომერ პირველ ტერორისტად გამოაცხადეს. ბინ ლადენის ლიკვიდაციის შემდგომ დაჯგუფებამ ძლიერი რეგრესი განიცადა, მათი ისლამური ჯიჰადი თითქმის აღარ ვრცელდება, რადგან მათი მოქმედების არეალი ძალიან არის შეზღუდული და ავღანეთ პაკისტანის საზღვრით შემოიფარგლება. ორგანიზაციის ლიდერი ამჟამად არის აიმან ალ-ზავაჰირი, ოსამა ბინ ლადენის ყოფილი „მარჯვენა ხელი".

ისლამური სახელმწიფო (ISIS) იგივე ისლმაური დაეში, ოფიციალურად 1999 წელს ჩამოყალიბდა და წარმოადგენდა ალ-ქაიდას ერთ-ერთ ორგანიზაციას, თუმცა აქტიურად მოქმედებები 2014 წლის ივნისში დაიწყო. ორგანიზაციის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს რეგიონული ექსპენსია და ტერორიზმის გლობალური მასშტაბით გავრცელება. ისლამური სახელმწიფო სუნიტის, ისლამის და ჯიჰადის მიმდევარია.

თანამედროვე ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის „ისლამურ სახელმწიფო" ყველაზე ძლიერი და დიდია. ისინი ვაჰაბიზმის მიმდევრები არიან. „ისლამური სახელმწიფოს" მიერ ჩადენილი მასობრივი მკვლელობები და სახალხოდ განხორციელებული სიკვდილით დასჯები მიგვანიშნებს მათ განსაკუთრებულ სისასტიკეზე.

„ისლამური სახელმწიფო" ძირითადად ევროპის კონტინენტზე ახლორციელებს ტერორისტულ აქტებს. მათი პირველი და ძალიან ცნობილი ტერაქტი მოხდა ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში, როდესაც თვითმკვლელი ტერორისტი დანაღმული ებრაულ მუზეუმში შევიდა და თავი აიფეთქა, შემთხვევას 4 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. „ისლამურ სახელმწიფოს" არაერთი ფართო მასშტაბიანი ტერაქტი მოუწყვია და როგორც ზემოთ აღინიშნა მათ ანგარიშზე მსხვერპლების რაოდენობა ძალიან დიდია. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით ISIS ძირითადად ქიმიურ იარაღს იყენებს ტერაქტების დროს.[57] ასევე „ისლამურ დაეშთან" დაკავშირებით მნიშვნელოვანია იმის ცოდნა,

[56] გ. ქელდიშვილი, ტერორიზმი და ტერორისტული აქტები, თბილისი, 2015 წ., 202.გვ.
[57] https://www.state.gov/the-global-coalition-working-to-defeat-isis-2/

რომ ისინი იყენებენ ინტერნეტს, აქვთ შექმნილი სპეციალური ვებ-გვერდები, რომლის საშუალებითაც შოულობენ მოხალისეებს და ხდება მათი ჩარიცხვა „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში

დღეისათვის „ისლამური სახელმწიფოს“ ძალები შესუსტებულია, აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერის, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის ლიკვიდაციის შესახებ 2019 წლის 27 ოქტომბერს განაცხადა. ტერორისტული დაჯგუფების ლიდერი სირიის იდლიბის პროვინციაში მოკლეს. ტრამპის განცხადებით, ალ-ბაღდადიმ თავი აიფეთქა. ალ-ბაღდადი „ისლამური სახელმწიფოს“ პირველი მეთაური გახლდათ. დღეს „ისლამურ სამყაროს“ ახალი ლიდერი ჰყავს, მისი სახელია აბუ იბრაჰიმ ალ-ჰაშემი ალ-ქურაში.[58]

3.2. საერთაშორისო თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში

ტერორიზმის პრობლემის მოგვარება არ არის მარტივი. ტერორისტები და მათი ქმდებები უნდა ექვემდებარებოდნენ კანონს, როგორც ერთეული, ასევე საერთაშორისო სამართლის კონტექსტში. საერთაშორისო თანამეგობრობის აღიარებული ფაქტი იყო ის, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა უაღრესად დიდ ძალისხმევას მოითხოვს და ეს ფაქტი ბევრ ფაქტორს მოიცავს, სწორედ აქ იგულისხმევა ტერორიზმის ცნების დადგენა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მოქმედ საერთაშორისო ხელშეკრულებათა ნორმების შესრულება, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების როლის გათვალისწინება. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ დღესთვის არსებობს ძალიან კარგად ჩამოყალიბებული სახელშეკრულებო ბაზა, ისევე როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის არსებული თანამშრომლობის სისტემა, თუმცა პრობლემა მაინც აქტიურია, ეს პრობლემა კი იქიდან გამომდინარეობს,რომ სახელმწიფოები ცდილობენ დადგენილი სტანდარტებიდან გადახვევას და საზღვრავენ როდის უნდა გამოიყენონ ძალა სამომავლო თავდასხმისაგან, თავდაცვაზე აპელირებით ტერორიზმის წინააღმდეგ.

ტერორიზმი ბოლო წლებში განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და სახელმწიფოების სტაბილურობას, რადგან მან შეიძინა გლობალური ხასიათი. ტერორიზმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა დაიწყო XXI საუკუნის დასაწყისში, რადგან ტერორისტული აქტის მსხვერპლად გახდომის რისკი მაღალი გახდა ნებისმიერი ქვეყნისათვის, მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და მოსახლეობის რაოდენობის მიუხედავად.

[58] https://www.theguardian.com/world/2020/jan/20/isis-leader-confirmed-amir-mohammed-abdul-rahman-al-mawli-al-salbi

საერთაშორისო ორგანიზაციის და სამართლებრივი ჩარჩოს ფორმირება ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან საბრძოლველად ექვემდებარება ანტი-კრიმინალური საქმიანობის საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს გაძლიერებას. ორგანიზებულ დანაშაულთან და ტერორიზმთან ბრძოლა კი მოიცავს: თანამედროვე დანაშაულის გამოწვევების,მათ შორის ტერორიზმის ნათელ და საყოველთაოდ აღიარებულ განმარტებებს; ტერორისტული აქტების ორგანიზატორთა და შემსრულებელთა დასასჯელად უნდა იქნეს ადეკვატური სამართლებრივი საფუძვლები პრაქტიკული ზომების ჩასატარებლად; გლობალური სისტემის შექმნა ტერორიზმის, ასევე მისი საფრთხეებისა და გამომწვევი მიზეზების წინააღმდეგ; რეგიონალური ორგანიზაციების პრაქტიკული თანამშრომლობის შექმნა.[59]

გადავხედოთ გასულ საუკუნეში საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობებს, ტერორიზმის წინააღმდეგ:

ერთა ლიგა ტერორიზმის წინააღმდეგ - საერთაშორისო ნორმატიული საშუალებებით ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიული სათავეები უკავშირდება მე-20 საუკუნის დასაწყისში ერთა ლიგის ფარგლებში სისხლის სამართლის კანონმდებლობის უნიფიკაციის პროცესს. 1931 წელს პარიზში სისხლის სამართლის ასოციაციის რიგით მეოთხე საერთაშორისო კონფერენციაზე ტერორიზმის წინააღმდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლის თანახმადაც:

„ის ვინც მოსახლეობის დაშინების მიზნით, პირთა ან საკუთრების წინააღმდეგ გამოიყენებს ბომბებს, ნაღმებს, ცეცხლგამჩენ ან ასაფეთქებელ მოწყობილობებს, ცეცხლსასროლ იარაღს ან სხვა სასიკვდილო და საზიანო საშუალებებს, ან ვინც პროვოცირებას მოახდენს, გაავრცელებს ან შეეცდება გავრცელებას ეპიდემიის ან სხვა მომაკვდინებელი დაავადების, ან ვინც შეაფერხებს ან შეეცდება შეაფერხოს საჯარო დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირება, დაისჯება.“[60]

1937 წელს ერთა ლიგამ მიიღო კონვენცია სახელწოდებით „ტერორიზმის პრევენცია და დასჯა“, სადაც მოიაზრებოდა დანაშაულები, რომლებიც ჩადენილი იყო სახელმწიფოს მეთაურებისა და დიპლომატიური წარმომადგენლების წინააღმდეგ, ისეთი ქმედებები, რომლებიც საფრთხეს უქმნიდა ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და ასევე სახელმწიფოს საკუთრების დაზიანებასა და განადგურებას, რომლის დროსაც დანაშაულის იარაღს წარმოადგენდა ასაფეთქებელი საშუალებები, საბრძოლო იარაღების გამოყენება და

[59] ფ. ადლერი, გ.ო.ვ მიულერი, ვ.ს ლაუფერი, შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში, გვ. 336

[60] http://www.cicte.oas.org/olat/documents/Defining%20TERRORISM%20in%20International%20Law.pdf

მომწამლავი ნივთიერებები. აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება ვერ მოხერხდა, რადგან მისი რატიფიცირება მხოლოდ ინდოეთმა მოახდინა და მალევე მეორე მსოფლიო ომიც დაიწყო.[61]

1960-1970 წლებში მომხდარმა თავდასხმებმა, განსაკუთრებით კი 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე მომხდარმა ტერორისტულმა აქტმა, რამაც მასობრივი მკვლელობების სერია გამოიწვია, სერიოზულად ჩააფიქრა საერთაშორისო საზოგადოება და გაეროს ეგიდით დაიწყეს მსჯელობა იმაზე, რომ საჭირო იყო ისეთი ზომების მიღება ტერორიზმთან საბრძოლველად, რომელიც შეძლებდა დანაშაულის აღმოფხვრას.

1972 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია ტერორიზმის და სხვა ძალადობის აღკვეთის შემუშავების ფარგლებში, რაც საფრთხეს უქმნის უდანაშაულო მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

1972 წლის გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია N:3034, რომელშიც მითითებული იყო, რომ ტერორიზმის აქტებისათვის მიეკუთვნებინათ ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა და ისეთი ქმედებების აღკვეთის ზომების შემუშავება, რაც საფრთხეს უქმნის უდანაშაულო მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ეს რეზოლუცია შეიცავდა მოწოდებას ყველა სახელმწიფოსათვის, რათა შეერთებოდნენ საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც ეხებოდა ტერორიზმის პრობლემის სხვადასხვა ასპექტებს.[62]

საერთაშორისო ძალისხმევა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ახორციელებდა, ასევე არაეფექტური აღმოჩნდა. იგივე შეიძლება ითქვას ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციისა (1971 წელს) და ევროსაბჭოს (1997 წელს) მიერ განხორციელებულ რეგიონულ მიდგომებზე. ამისგან განსხვავებით, ზოგიერთი ორმხრივი მოლაპარაკება მოკავშირე ქვეყნებს ან მსგავსი ინტერესების მქონე მოქიშპე ქვეყნებს შორის უფრო წარმატებული გამოდგა ტერორიზმთან ბრძოლაში. მაგალითად 1973 წლის მოლაპარაკებამ აშშ-სა და კუბას შორის ბოლო მოუღო ამერიკული თვითმფრინავების გატაცებას ჰავანაში. კიდევ ერთი მაგალითია 1986 წლის მოლაპარაკება აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის, რომლის მიხედვითაც მათ გააფართოვეს ექსტრადაციის ხელშეკრულება და გამორიცხეს პოლიტიკური მოტივით ჩადენილი სერიოზული ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენთა შეწყალება. 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ აშშ-მ მოიპოვა ბევრი ქვეყნის, მათ შორის პაკისტანისა და რუსეთის მთავრობების მხარაჭერა და აქტიური თანამშრომლობა მსოფლიო მასშტაბით ანტიტერორისტული კამპანიის წარმოებაში. ამას განსაკუთრებით უჭერდნენ მხარს

[61] http://www.cicte.oas.org/olat/documents/Defining%20TERRORISM%20in%20International%20Law.pdf

[62] ს. ჩქოფოია, კ. ჭყოიძე, საერთაშორისო ტერორიზმი (იდეოლოგია და პოლიტიკა), თბილისი 2015, გვ. 222-223.

ნატოს წევრი ქვეყნები, მათგან ყველაზე აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთი იმდროინდელი პრემიერ მინისტრს ტონი ბლერის მეთაურობით.[63]

1994 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დეკლარაცია „საერთაშორისო ტერორიზმის აღმოფხვრის შესახებ", რომელიც ასევე ყოველმხრივ გმობდა ტერორისტულ აქტებს. ეს დაგმობა კვლავ განმეორდა 1997 წელს, როდესაც გენერალურმა ასამბლეამ დაადგინა:

„დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც მიმართულია იმისაკენ, რომ დათესოს შიში ფართო საზოგადოებაში, პირთა ჯგუფში ან კონკრეტულ პიროვნებებში, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ნებისმიერ შემთხვევაში გაუმართლებელია, მიუხედავად იმისა, თუ რა საფუძველით მოქმედებენ - პოლიტიკური, ფილოსოფიური, იდეოლოგიური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან ნებისმიერი სხვა."[64]

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმული არის ასევე ევროპის საბჭო. ევროპის საბჭო ამ სფეროში აქტიურობს 1970-იანი წლებიდან, თუმცა მათი ძალისხმევა გააორმაგეს 2001 წლის სექტემბრის ტერაქტის შემდეგ. ევროპის საბჭოს საქმიანობა ტერორიზმთან ბრძოლაში სამ მიმართულებას ეფუძვნება:[65]

1. სამართლებრივი ზომების გაღრმავებას ტერორიზმის წინააღმდეგ;

2. ძირითად ღირებულებათა დაცვას;

3. ტერორიზმის გამომწვევ მიზეზებზე რეაგირებას.

2003 წელს მიღებული „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კონვენციის შემსწორებელი ოქმით" გაიზარდა ტერორისტულ აქტად დასაკვალიფიცირებელი ქმედებების სია. აღნიშნული ოქმით მონაწილე სახელმწიფოებს დაევალათ არამხოლოდ ტერორისტული ორგანიზების დასჯა, არამედ მისი მცდელობაც.

2003 წელს მიიღეს „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კონვენციის შემსწორებელი ოქმი", რის შედეგადაც გაიზარდა სია ტერორისტულ აქტად დასაკვალიფიცირებელი ქმედებების. ოქმით სახელმწიფოებს დაევალათ დაესაჯათ არამხოლოდ ორგანიზება არამედ ორგანიზების მცდელობაც.

2005 წელს მიღებული „ევროპის საბჭოს კონვენცია ტერორიზმის წინააღმდეგ", რომელიც ამოქმედდა 2007 წლიდან, გახდა გარანტია ტერორიზმთან ბრძოლის გასამტკიცებლად რიგი რეკომენდაციის მიღებისა.[66]

ყოველწლიურად მსოფლიოში საერთაშორისო ტერორიზმის ასობით აქტი ხორციელდება, ხოლო მათი მსხვერპლის რაოდენობა ათასებს ითვლის. როგორც ჩანს

---

[63] თ. მ. მაგშტადტი, გავიგოთ პოლიტიკა, თბილისი, 2010წ., 541 გვ.

[64] https://legal.un.org/avl/ha/dot/dot.html

[65] ს. ჩქოფოია, კ. ჭყოიძე, საერთაშორისო ტერორიზმი (იდეოლოგია და პოლიტიკა), თბილისი 2015, გვ. 235

[66] https://www.osce.org/files/f/documents/e/c/33772.pdf

ტერორისტთა შესაჩერებლად არ კმარა ერთი კონკრეტული, თუნდაც უძლიერესი სახელმწიფოს ძალისხმევა. საჭიროა მსოფლიოს ქვეყნების გაერთიანება და ერთობლივად წინაღდგომა ტერორიზმის წინააღმდეგ. ასეთი მიზინით შეიქმნა და 2005 წლის 16 მაისს ძალაში შევიდა კონვენცია ტერორიზმის პრევენციის შესახებ. კონვენციას ხელი მოაწერა ოცდათვრამეტმა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომაც.[67]

ის ძირითადი ორგანო, რომელიც სწავლობს და განმარტავს საერთაშორისო ნორმებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაა. იქიდან გამომდინარე, რომ თანამშრომელი ქვეყნების რიცხვი მცირეა, ერთა თანამშრომლობა საერთაშორისო სამართლის ნორმათა შესრულებაში და ანტი-ტერორისტული კონვენციის გასაძლიერებლად დიდ შედეგებს არ გვაძლევს. სახელმწიფოთა ნაწილი არ იცავს საერთაშორისო შეთანხმების ნორმებს ,,ეროვნული თავისუფლებისათვის ომში" მონაწილეთა მიმართ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანტიტერორისტულ კონვენციასთაგან არც ერთი არ ეხება ტერორისტული აქტების ტაქტიკასა და მიზნებს, მათ შორის სხვადასხვა იარაღის გამოყენებით განზრახ განადგურებულ მოსახლეობის შემთხვევებს. ტერორიზმის ცნების საკითხთან მიმართებაში, საერთო პოზიცია არ ფიქსირდება ყველა ქვეყანას შორის. საერთაშორისო ანტი-ტერორისტილი კანონმდებლობის დამუშავებას აბრკოლებს ტერორიზმის მკაფიო დეფინიციის უქონლობა. ამ პრობლების მიმართ კი გაერთიანებული ორგანიზაცია არ იჩენს სათანადო ყურადღებას. მისი აქტიურობა ძირითადად უკავშირდება არსებული კონვენციის მხარდაჭერასა და ისეთი ტერორისტული აქტების შენარჩუნებას და თავიდან აცილებას როგორიცაა: თვითმფრინავის გატაცება და თავდასხმა საერთაშორისო აეროპორტებზე, ბირთვული იარაღის კომპონენტების მოპოვება-ტრანსპორტირება. [68]

გაეროს კონფლიქტოლოგების რეკომენდაციით, მასობრივ ტერორიზმთან ბრძოლის დროს საჭიროა შემდეგი პრინციპებით ხელმძღვანელობა:

- არავითარი კაპიტულაცია ტერორისტების წინაშე, ტერორიზმზე გამარჯვებისათვის მტკიცე ბრძოლა კანონისა და დემოკრატიული პროცესის ნორმების ფარგლებში;
- არავითარი გარიგება ტერორისტებთან, არავითარი დათმობა ყველაზე სერიოზული საფრთხისა და შანტაჟის წინაშეც კი;
- ყველა ძალისხმევა მიმართული უნდა იქნეს იმისკენ, რომ ტერორისტების საბრალდებო საქმეებმა მიაღწიონ სასამართლომდე და გამოტანილ იქნეს კანონიერი განაჩენი;

[67] https://www.coe.int/en/web/counter-terrorism/cdct/warsaw-convention-and-additional-protocol

[68] ფ. ადლერი, გ.ო.ვ მიულერი, ვ.ს ლაუფერი, შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში, გვ. 336

- დასჯის სასტიკი ზომები უნდა იქნეს გატარებული ტერორიზმის სპონსორი სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც ტერორისტულ მოძრაობებს უსაფრთხო თავშესაფრით, ასაფეთქებელი ნივთიერებებით, ფულით და პოლიტიკური თუ მორალური მხარდაჭერით უზრუნველყოფენ;
- სახელმწიფომ მტკიცედ უნდა აღკვეთოს ტერორისტთა მცდელობა, შეაფერხონ ან დაბლოკონ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო დიპლომატიური მოლაპარაკებები პოლიტიკური კრიზისების გადაწყვეტისას.[69]

ამერიკის შეერთებული შტატების პასუხისმგებლობა საერთაშორისო ასპარეზზე ურთიერთობების განვითარების სფეროში აისახა 2010 წლის დეკლარაციაში ანტიტერორისტული საქმიანობის შესახებ, რომელიც დაიდო აშშ-სა და ევროკავშირს შორის. ამით ევროკავშირი და აშშ ცდილობენ შექმნან მყარი საფუძველი ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული საქმიანობისთვის კანონის ფარგლებში. ამ დეკლარაციაში ყურადღება გამახვილებულია ეფექტურ და ყოვლისმომცველ მიდგომაზე, რომლის მთავარი მიზანია ძალმომრეობითი ექსტრემიზმის გრძელვადიანი საფრთხის შემცირება. აღნიშნული დეკლარაცია ხაზს უსვამს სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვან როლს, რომელიც ხელს უწყობს ტერორიზმის იზოლაციას. 2010 წლის დეკლარაცია ხაზს უსვამს აგრეთვე თანამშრომლობას ისეთ სფეროებში, როგორიც არის საზღვრების უსაფრთხოება, ტერორისტული საქმიანობის დაფინანსების აღმოფხვრა, გლობალური გაუვრცელებლობის რეჟიმის განმტკიცება და გაეროს ანტი-ტერორისტული საქმიანობის განვითარება.[70]

ტერორიზმი მთავარ საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და სტაბილურობას და მისი თავიდან აცილება და აღკვეთა მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის საერთო საქმეა.[71]

---

[69] ფ. ადლერი, გ.ო.ვ მიულერი, ვ.ს ლაუფერი, შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში გვ. 338

[70] ს. ჩქოფოია, კ. ჭყოიძე, საერთაშორისო ტერორიზმი (იდეოლოგია და პოლიტიკა), თბილისი 2015, 234-235 გვ.

[71] ფ. ადლერი, გ.ო.ვ მიულერი, ვ.ს ლაუფერი, შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში, გვ. 336

თავი IV. ტერორიზმის ტენდენციები და საქართველო

4.1. არსებული ვითარების მიმოხილვა

ტერორიზმთან დაკავშირებულმა საფრთხეებმა და განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ტერორისტულ დაჯგუფებებსა და ორგანიზაციებს შესწევთ უნარი დაგეგმონ და განახორციელონ ტერორისტული თავდასხმები სხვადასხვა ქვეყანაში და მოახდინონ საზოგადოების ნაწილის რადიკალიზაცია.

ტერორისტული აქტები სამიზნის მიხედვით შეიძლება 5 მიმართულებად დავყოთ: 1) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები; 2) პოლიცია და არმია; 3) მსხვილი კომერციული ორგანიზაციები; 4) მოსახლეობა: 5) მასიური ინფორმაციის საშუალებები, სახელმწიფო მოხელეების ან სახელმწიფო ქონების მიმართ ჩატარებული ტერორისტული აქტები მიმართულია შემდეგი მიზნების მისაღწევად: ა) შეცვალოს პოლიტიკური სიტუაცია; ბ) გააძლიეროს მოქალაქეთა უკმაყოფილება; გ) გამოხატოს პოზიცია არა მოსახლეობის, არამედ ხელისუფლებისადმი; ე) შეცვალოს პოლიტიკური კურსი.[72]

საერთაშორისო ძალისხმევის მიუხედავად, „ისლამური სახელმწიფო“ გლობალური ტერორიზმის ყველაზე მკაფიო გამოვლინებად რჩება. სხვადასხვა დროს „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში საქართველოს მოქალაქეებიც იბრძოდნენ. ზოგიერთმა ტერორისტული ორგანიზაციის რიგებში მნიშვნელოვანი გავლენაც მოიპოვა და ტერორისტული ორგანიზაციის იერარქიის სათავეშიც მოექცა. ISIS-მა მხარდამჭერების გარკვეული რაოდენობის მოპოვება საქართველოშიც შეძლო, თუმცა სამართალდამცავი უწყებების მიერ განხორციელებული სპეცოპერაციებისა და სახელმწიფოს მიერ წარმოებული მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად, საქართველოში „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერთა რიცხვი მკვეთრად შემცირდა, თუმცა საქართველოში შესაძლოა კვლავ არსებობდნენ „ისლამური დაეშის“ მომხრეები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ორგანიზაციის მხრიდან მიღებული დავალებების შესაბამისად იმოქმედებენ.

საქართველოსთვის კვლავ გამოწვევად რჩება სირიასა და ერაყში მყოფი „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში მებრძოლი საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც შესაძლოა საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტონ. ასევე საყურადღებოა ISIS-ის უცხოელი ტერორისტები, რომლებიც შესაძლოა საქართველოს გავლით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში

[72] გ. ლობჟანიძე, საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა, თბილისი 2002 წ., გვ. 151.

გადაადგილებას შეეცადონ. ყოველივე ამასთან ერთად, საყოველთაო გამოწვევის მსგავსად, საქართველოშიც აქტიურად დგას „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ინტერნეტის გამოყენებით რადიკალიზაციისა და გადაბირების საფრთხე.[73]

რაც შეეხება ტერორისტულ ორგანიზაციას „ალ-ქაიდას“, ის წლების განმავლობაში რჩება განსაკუთრებით საშიშ ტერორისტულ ორგანიზაციად. „ალ-ქაიდას“ წარმომადგენლები კვლავ მოქმედებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და შეუძლიათ, როგორც დამოუკიდებლად ფუნქციონირება, ისე ცენტრალური ხელმძღვანელობის მიერ გაცემული დავალებების შესრულება.

„ალ-ქაიდასთვის“ საქართველო პირველადი ინტერესის ობიექტს არ წარმოადგენს. სირიასა და ერაყში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებისას „ალ-ქაიდას“ მხარდამჭერ შეიარაღებულ ჯგუფებში საქართველოს მოქალაქეებიც იბრძოდნენ. ზოგიერთი მათგანი „ალ-ქაიდას“ შეიარაღებული ჯგუფების ლიდერიც კი გახდა. „ალ-ქაიდასგან“ მომდინარე სავარაუდო საფრთხეებს წარმოადგენს ტერორისტული ორგანიზაციის ან მისი ინდივიდუალური მხარდამჭერის მიერ ტერორისტული თავდასხმის განხორციელება; ორგანიზაციაში მებრძოლი საქართველოს მოქალაქეების ქვეყანაში დაბრუნების მცდელობა და საქართველოს ტრანზიტულ ქვეყნად გამოყენების მცდელობა.[74]

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ასევე ტერორისტული ორგანიზაცია „თალიბანი“. ეს ორგანიზაცია ძირითადად ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში მოქმედებს და ქვეყანაში ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს აკონტროლებს. ორგანიზაციას შესწევს უნარი აწარმოოს სამხედრო ოპერაციები და განახორციელოს ტერორისტული აქტები.

„თალიბანი“ მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს საქართველოსათვის, უფრო ზუსტად, საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის, რომელიც ავღანეთის კონფლიქტში მონაწილეობს. ბოლო წლების განმავლობაში აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციის მიერ განხორციელდა არაერთი თავდასხმა ქართულ სამხედროებზე. ათეულობით ქართველი დაიღუპა, ხოლო ასეულობით დაშავდა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. დღეისათვის ნატოს „მტკიცე მხარაჭერის მისიის“ ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის ძალების დანაყოფები განთავსებული არის ქალაქ ქაბულში, ბალხისა და ფარვანის პროვინციებში, რომლებიც „თალიბანის“ აქტიური მოქმედების არეალს წარმოადგენს.[75]

---

[73] https://ssg.gov.ge/uploads/pr/25.01.19/National%20CT%20Strategy%20of%20Georgia.pdf

[74] იქვე.

[75] http://gov.ge/files/524_69782_874672_rotated_53.pdf?fbclid=IwAR25TZYW_udVPdXlN7tZ2FmHq3CElzugyILRxnYlTqZQ68sCq1tEqMGGPXg

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ განეკუთვნება ტერორისტული თავდასხმების მაღალი რისკის სახელმწიფოთა რიცხვს, რეგიონში მიმდინარე პროცესები ქვეყანაზე დიდ გავლენას ახდენს.

ბოლო წლებში ახლო აღმოსავლეთი საკმაოდ დიდი ტერორისტული აქტივობი შეინიშნება. რეგიონის ქვეყნებში მიმდინარე კონფლიქტებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს მოქალაქეებზე. კერძოდ, მონაწილეობის მიღების მიზნით რეგიონში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში მიემგზავრებოდნენ საქართველოს მოქალაქეები; საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტულად გამოყენების მცდელობები იყო აღნიშნულ რეგიონში ტერორიზმში ჩართული პირების მიერ.

დღეს-დღეობით ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორისტული ორგანიზაციების, როგორიცაა „ისლამური სახელმწიფო“ და „თალიბანი“, აქტივობები შესუსტებულია მინიმალური ცოცხალი ძალისა და მწირი ფინანსური მდგომარეობის გამო და ამ ეტაპზე ისინი რეგიონული უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას არ წარმოადგენენ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ არ შესწევთ უნარი განახორციელონ ცალკეული ტერორისტული თავდასხმები. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, აღნიშნულ რეგიონებში გრძელვადიანი სტაბილურობის შენარჩუნება პრაქტიკულად შეუძლებელია, რაც საქართველოსთვის მნიშვნელოვან საფრთხეებთან ასოცირდება.

საქართველო ევროპული უსაფრთხოების ნაწილია, შესაბამისად ბოლო წლებში, ტერორიზმის თვალსაზრისით, საქართველო და ევროპის ქვეყნების დიდი ნაწილი აღმოჩნდა მსგავსი საფრთხეების წინაშე, თუმცა ევროპის მრავალი ქვეყნისგან განსხვავებით, საბედნიეროდ საქართველოში ტერორისტული ორგანიზაციის მიერ ტერორისტული თავდასხმა არ განხორციელებულა. თუმცა, რომ არა 2017 წლის 22 დეკემბერს თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაცია, ალბათ საქართველოც საერთაშორისო ტერორისტული აქტის მსხვერპლი გახდებოდა. აღნიშნული სპეცოპერაციის დროს ლიკვიდაცია მოხდა შეიარაღებული ჯგუფის ლიდერის, „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი საველე მეთაურის აჰმედ ჩატაევისა და მისი ორი თანამზრახველის იბრაჰიმ ადაშევისა და ასლანბეგ სოლტაჰმადოვის, რომლებიც საცხოვრებელი კორპუსის ბინაში იყვნენ შეიარაღებულები.[76]

[76] https://www.gfsis.org/ge/publications/view/2540

4.2. საქართველო ტერორიზმის წინააღმდეგ

ტერორიზმთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმების შემუშავება უმნიშვნელოვანესია თანამედროვე მსოფლიოს განვითარებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის, ამისათვის კი აუცილებელია, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი, ისე ნაციონალურ სამართლებრივი ნორმების შემუშავება. მნიშვნელოვანია ასევე, რომ მოხდეს არსებული სამართლებრივი ნორმების ანალიზი, რათა გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება დროულად მოხდეს.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ის უნდა განვსაზღვროთ კრიმინოლოგიური თვალსაზრისით. მასში უნდა მოიაზრებოდეს ტერორისტული ჯგუფების ისეთი სახის დანაშაულებრივი საქმიანობაც, რაც გამომდინარეობს ტერორისტული ორგანიზაციის ინტერესებიდან. უნდა ითქვას, რომ ტერორიზმი კრიმინოლოგიური თვალსაზრისით უფრო ფართო მაშტაბებს მოიცავს, ვიდრე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ტერორისტული ხასიათის დანაშაულები.

ტერორიზმის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს დაშინება, რაც გამოკვეთილია საერთაშორისო ნორმატიულ დოკუმენტებში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში პირდაპირაა მოცემული „მოსახლეობის დაშინება“, როგორც ტერორისტული აქტის მიზანი, მაგრამ პროფესორი გიორგი გორაშვილი სწორად აღნიშნავს, რომ მოსახლეობის დაშინება ტერორიზმის მიზანი კი არ არის, არამედ არის საშუალება მიზნის მისაღწევად.[77]

2014 წლის 27 ივნისში, ბრიუსელში ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებას. შეთანხმების მიხედვით, საქართველო იღებს სამართლებრივ ვალდებულებას ითანამშრომლოს ტრანსანაციონალურ დანაშაულობასთან წინააღმდეგ ბრძოლაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შეთანხმების პრეამბულის მიხედვით საქართველო სხვა ხელმომწერ სახელმწიფოებთან ერთად არის ვალდებული უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.[78]

ზემო აღნიშნულ ასოცირების შეთანხმებაში ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ ზოგადი პრინციპების მეორე მუხლში ტერორიზმი აღნიშნული არის, როგორც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული და მის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებულად არის გამოყოფილი.__შეთანხმების მე-12 და 108-ე მუხლებიც ასევე მიუთითებენ ხელმომწერი სახელმწიფოების ვალდებულებას ტერორიზმის გამოვლინების ნებისმიერი ფორმის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ერთობლივი მოქმედების შესახებ.

---

[77] გ.გორაშვილი, ტერორიზმი და მისი იმანენტური კრიმინოლოგიური ნიშნები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“ 2004წ., 124 გვ.

[78] ი. დვალიძე, ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2017 წ., 11 გვ.

ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში მნიშვნელოვანია, რომ დიდი ყურადღება მიექცეს მისი დაფინანსების წყაროების აღმოფხვრას. სწორად არის გამოყოფილი იურიდიულ ლიტერატურაში ტერორიზმის დაფინანსების სამი წყარო: სახელმწიფოები და ორგანიზაციები; შემოქმედებითი საქმიანობებით მიღებული შემოსავლები (ფონდი, შემოწირულობა და ა.შ.) და დანაშაულები.[79]

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების მე-20 მუხლის (თანამშრომლობა ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში) 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტით საქართველომ აიღო ტერორისტულ დანაშაულთა კრიმინალიზაციის ვალდებულება. თუმცა, ამ სახის ვალდებულების აღება, არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებამდე საქართველოს არ გააჩნდა ტერორზმთან რეპრესიული სამართლებრივი მექანიზმებით ბრძოლის ნორმატიული ბაზა და გამოცდილება.[80]

ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველომ მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებასა და კონვენციას მოაწერა ხელი. მათგან ყველაზე მეტად აღსანიშნავია 1977 წლის ევროპული კონვენცია ტერორიზმის წინააღმდეგ, 1999 წლის გაეროს კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ, 2005 წლის გაეროს კონვენცია ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ საერთაშორისო კონვენციასთან შეერთების თაობაზე.

ევრო კავშირის ორგანოებმა და მისმა წევრმა სახელმწიფოებმა, სადაც საქართველოც მონაწიელებს, ტერორიზმთან საბრძოლველად მრავალი სამართლებრივი ნორმა შეიმუშავეს. კერძოდ, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის 2002 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით, ევროკავშირის დონეზე პირველად განისაზღვრა ტერორისტული დანაშაულის ქმედების შემადგენლობების ნიშნები და მათთვის სანქციების შესახებ ერთიანი მინიმალური დებულებები. 2005 წლის 20 სექტემბრის ტერორისტულ დანაშაულებზე ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის ევროსაბჭოს გადაწყვეტილებით კი წევრ სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის გაცვლა გაძლიერდა, რომელშიც საქართველოც აქტიურად მონაწიელეობს. 2008 წლის 28 ნოემბერს ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო-გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.[81]

შიდასახელმწიფოებრივი კანონებიდან, აღსანიშნავია 2007 წლის 27 ივნისის საქართველოს კანონი, „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“. სწორედ ამ კანონის მე-20 მუხლში

---

[79] Benton, E. Gup, Money Laundering, Financing Terrorism and Suspicious Activities, 2007, P. 40-42.

[80] ი. დვალიძე, ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2017 წ., გვ. 11-12.

[81] მ. ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, 2010, გვ. 436.

თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი, რომ „ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძვლები საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად, საქართველო ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობს უცხო ქვეყნებთან, მათ სამართალდამცავ ორგანოებთან, სასამართლოებთან და სპეციალურ სამსახურებთან, აგრეთვე იმ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლას."[82]

ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ა" პუნქტის მიხედვით, ტერორიზმი განმარტებულია როგორც „ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ, შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, კომუნიკაციების და სხვა მატერიალური ობიექტების განადგურება-დაზიანება ან მათი განადგურება-დაზიანების მუქარა იარაღის, ასაფეთქებელი მასალების, ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური თუ სხვა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერების გამოყენებით ან ადამიანის გატაცებითა თუ მძევლად აყვანით, რათა ხელისუფლება ანდა მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისაგან, რომელიც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის"[83]

ეს კანონი ასევე შეიცავს ტერორისტული აქტის, მიზნის, საქმიანობის, საერთაშორისო ტერორიზმის, ტერორისტის, ტერორისტული ჯგუფისა და სხვა ტერორისტულ დანაშაულთან ან მასთან ბრძოლის მექანიზმებთან დაკავშირებულ განმარტებებს.

ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში ყურადღებას იქცევს, საქართველოს მთავრობის დადგენილება (№254 2014 წლის 26 მარტის დადგენილება) ქვეყანაში კონტრტერორისტული საქმიანობის ორგანიზებისა და ტერორიზმთან ბრძოლის სუბიექტების საქმიანობის კოორდინაციის წესის შესახებ, რომლის მიხედვითაც, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური კონტრტერორისტული საქმიანობის კორდინაციას კონტრტერორისტული ცენტრის მეშვეობით ახორციელებს.

ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ და პრევენციის საკითხში გამოცემულია არაერთი მნიშვნელოვანი ბრძანება:

- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 21 აპრილის ბრძანება №46/04 კომერციული ბანკების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის

[82] საქართველოს კანონი, ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, მე-20 მუხლი, 2020 წ.
[83] იქვე, 1-ლი მუხლი

დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე;

- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 31 მაისის ბრძანება №61/04 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე;

- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება 2016 წლის 5 მაისის ბრძანება №47/04 ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე.[84]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ტერორისტულ დანაშაულებს XXXVIII თავი აქვს დათმობილი და მოთავსებულია სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში.

უკანასკნელ წლებში ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად, იქმნებოდა სპეციალური ნორმები, თუმცა ამან ცალკეულ შემთხვევებში გარკვეული გაუგებრობა წარმოშვა, კერძოდ:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა შემდეგი სპეციალური ნორმები:

ა) ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთ-ქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება ან გამოყენება ტერორისტული მიზნით (სსკ-ის 323[1] მუხლი);

ბ) ქურდობა ამ თავით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენის მიზნით (სსკ-ის 330[3] მუხლი);

ასეთი დამატებების განხორციელება გაუმართლებელია საქართველო სისხლის სამართლის კოდექსის საკანონმდებლო ტექნიკის კუთხით, რადგან ზემოაღნიშნულმა ნორმებმა გამოიწვია კვალიფიკაციის საკითხებში რიგი პრობლემები.__მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ქურდობა, რომელიც ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით მხოლოდ ფარულად ხორციელდება, სწორედ ამიტომ გაუგებარია რატომ არ არის ტერორის-ტული დანაშაულის ჩასადენად ძარცვა ან ყაჩაღობა სპეციალური ნორმით დასჯადი და რატომ იწვევს ტერორისტული დანაშაულების ჩასადენად ქურდობა უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას. ასევე უკეთესი იქნებოდა დამატებული ყოფილიყო ისეთი ნორმა, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს დააწესებდა ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების

[84] ი. დვალიძე, ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2017 წ., 13 გვ.

ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაზე ტერორისტული მიზნით (მაგალითად თუ ასაფეთქებელი საშუალება ძარცვით არის დაუფლებული), რადგან კანონში მხოლოდ აღნიშნულია საგნების მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გასაღება ან გამოყენება.

კოლიზიას წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და სსკ-ს 323^1 მუხლი. კერძოდ, სსკ-ის 323-ე მუხლის 1-ლ ნაწილში მითითებული არის იარაღის გამოყენებაზე, ხოლო 323^1-ე მე-3 ნაწილში მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაზე მიუთითებს. აღნიშნულ დანაშაულებს, ორივეს თანაბარი სანქცია აქვს დაწესებული, რაც გაუგებარია, რატომ არსებობს ორივე ნორმა.

პრევენციული და რეპრესიული ხასიათის ფუნქციების განხორციელება სახელმწიფოს მხრიდან დანაშაულებასთან ბრძოლის სფეროში ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ფუნქციების პრაქტიკული რეალიზაცია სამართლებრივ სახელმწიფოში წარმოუდგენელია კონკრეტული საკანონმდებლო რეგულაციების გარეშე. სამართლებრივი სახელმწიფო თავის თავში უცილობლად გულისხმობს კანონიერების პრინციპის განუხრელ დაცვას და გამართული საკანონმდებლო ტექნიკის გათვალისწინებით არაკოლიზიური და არაბუნდოვანი საკანონმდებლო ბაზის შექმნას.

თავი V. კვლევის შედეგები

ნაშრომში განხილულ იქნა ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება. კვლევის ყოველი თავი დაწერილია თეორიული მასალის მეშვეობით, რომელთა საბოლოო ანალიზითაც მივედით შედეგებამდე. ნაშრომის პირველ თავში განხილულია გამოყენებული ლიტერატურა. მომდევნო თავი ეხება ორგანიზებული დანაშაულის ცნებასა და ტერორიზმს, სადაც განხილულია ორგანიზებული დანაშაულის ცნება, ტერორიზმის დეფინიცია, მისი ორგანიზებულ დანაშაულთან გამიჯვნის საკითხი, ტერორიზმის მოკლე ისტორიის მიმოხილვა და ტეორირზმის ფორმები და სახეები. მიუხედავად იმისა, რომ ტერორიზმის ერთიანი, ყველასათვის მისაღება ცნება არ არსებობს, კვლევის შედეგად შეიძლება ვთქვათ, რომ მისი გამომწვევი მიზეზებიდან გამომდინარე და ტერორიზმის ფორმებისა და სახეების მიხედვით, ტერორიზმში უმთავრესად მოიაზრება ისეთი დანაშაულებრივი ქმედება, რომლის დროსაც დანაშაულის ჩამდენი პირი ან პირთა ჯგუფი მიმართავს ძალადობას, დაშინებას, ძალადობრივ ქმედებასა და მუქარას პოლიტიკური, ეკონომიუკური, იდეოლოგიური თუ სხვა სახის სარგებლის მოპოვების მიზნით.

შემდეგი თავში განხილული არის თუ როგორ გამოწვევას წარმოადგენს ტერორიზმი თანამედროვე მსოფლიოსათვის და როგორ ებრძვიან ტერორიზმს საერთაშორისო ორგანიზაციები. უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის, მსოფლიოს განვითარებასთან ერთად, განვითარდა და დაიხვეწა ტერორიზმიც. განხორციელებული ტერორისტული აქტები, რომელიც ამ თავში მაქვს მოყვანილი მაგალითის სახით, გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ტერორიზმი თანდათან უფრო სახიფათო და მრავალმაშტაბური ხდება, ვიდრე აქამდე იყო.

ამის შემდეგ საუბარი მაქვს ტერორიზმის ტენდენციებსა და საქართველოზე. კვლევის შედეგად უნდა ითქვას, რომ დღეისათვის საქართველოში ტერორიზმის კუთხით არ არის ისეთი სახიფათო მდგომარეობა, როგორიც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ტერორიზმის შესახებ 2019 წლის ანგარიშში აღნიშნა, რომ საქართველოს შესწევს უნარი, გამოავლინოს, შეაკავოს და რეაგირება მოახდინოს ტერორიზმის ინციდენტებზე.[85]

[85] https://imedinews.ge/ge/politika/150198/keli-degnani-chveni-qveknebi-terorizmtan-brdzolis-mimartulebit-mravali-tselia-tanamshromloben-da-mnishvnelovani-shedegebi-gvaqvs

დასკვნა

სახელმწიფოს სტაბილურობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის საშუალებათა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემას. საზოგადოების განვითარების ნებისმიერი ეტაპი ხასიათდება ტერორიზმთან ბრძოლის სპეციფიკური მეთოდოლოგიისა და მიმართულებების განვითარებით, რაც თანამედროვე კრიმინოლოგიის მრავალფეროვან და კომპლექსურ ხასიათს განაპირობებს. ტერორიზმზე დაკვირვების წარმოება და მისი მიზეზების იდენტიფიკაცია ითხოვს მუდმივ მონიტორინგსა და კვლევას. საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ იცვლებოდა, როგორც ტერორიზმის ფორმები და სახეები, ასევე მისი მეთოდები და გამომწვევი მიზეზები, ტერორიზმის მასშტაბები და ის პერსპექტივები, რომელთა მეშვეობითაც ხდება ტერორიზმის მეცნიერული შესწავლა.

ტერორიზმი მსოფლიო მასშტაბის სოცილაური მოვლენაა, რომელიც თანამედროვე ეპოქაში სწრაფად ვითარდება და ეხება თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყანას. სამწუხაროდ დღეს-დღეობით თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა არ იძლევა იმის ვარაუდის საშუალებას, რომ უახლოეს ასწლეულში, საერთაშორისო თანამეგობრობა შეძლებს ტერორიზმის აღკვეთასს. ტერორიზმი შედის გლობალური პრობლემის რიცხვში, რომელიც კაცობრიობის წინაშე დგას, რადგან ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ართულებს უამრავ საკითხთან ერთად ფინანსური და საინფორმაციო სისტემების გლობალიზაცია.

ნაშრომში ჩემს მიერ განხიულია ტერორიზმთან დაკავშირებით საერთაშორისო მიდგომები, გამოყენებულია გაეროს, ევროკავშრისი, ევროსაბჭოსა და სხვა საერაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცემული მომწესრიგებელი დოკუმენტები. გარდა ამისა, საუბარი მაქვს საქართველოს დამოკიდებულებაზე ტერორიზმის მიმართ, რა სახით ახორციელებს იგი ბრძოლასა და როგორი არის არსებული ვითარება დღეისათვის.

ტერორიზმთან ბრძოლისათვის, ჩემი აზრით ეფექტური იქნება, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს მიზანს, ტერორიზმთან ბრძოლაში, წარმოადგენდეს ის ბრძოლის მეთოდები, რომლებიც მოიძიება საერთაშორისო პრაქტიკასა და ისტორიულ გამოცდილებაში.

რაც შეეხება საქართველოს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა არ განეკუთვნება ტერორისტული თავდასხმის მაღალი რისკის ქვეყანათა ჯგუფს, მაინც არსებობს გარკვეული გამოწვევები აღნიშნული კუთხით. მოგეხსენებათ ტერორისტული ორგანიზაციები აქტიურად იყენებენ იდეოლოგიის გავრცელების მიზნით ინტერნეტ სივრცეს. ამიტომ საჭიროა მათ მიერ შექმნილ ვებ-გვერდებზე დაწესდეს მკაცრი შეზღუდვები წვდომაზე.

ტერორიზმი უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს მთელი კაცობრიობისათვის, მიუხედავად მათი რასის, რელიგიისა და ეროვნებისა. ჩემი აზრით ტერორიზმის დამარცხება შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის ერთობლივი ძალისხმევით.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. ადლერი ფ., მიულერი გ.ო.ვ., ლაუფერი ვ.ს., შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში, თბილისი, 2003 წ.
2. გორაშვილი გ., ტერორიზმი და მისი იმანენტური კრიმინოლოგიური ნიშნები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, თბილისი, 2004 წ.
3. გორაშვილი გ., ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება, თბილისი, 2011 წ.
4. დვალიძე ი., ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2017 წ.
5. კუხალაშვილი დ., „ტერორისტული ორგანიზაციები და მათი საქმიანობა“, თბილისი, 2007 წ.
6. ლობჟანიძე გ., საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა, თბილისი, 2002 წ.
7. მაგშტადტი თ.მ., გავიგოთ პოლიტიკა, თბილისი, 2010 წ.
8. ნაჭყებია ბ., ტერორიზმი - ისტორია, დეფინიცია, ტიპოლოგია, თბილისი 2019 წ.
9. ტურავა .მ, ევროპული სისხლის სამართალი, თბილისი, 2010 წ.
10. ქელდიშვილი გ., ტერორიზმი და ტერორისტული აქტები, თბილისი, 2015 წ.
11. ღლონტი გ., კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თბილისი, 2008 წ.
12. შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია (მეორე გამოცემა), თბილისი, 2011 წ.
13. ჩქოფოია ს., ჭყოიძე კ., საერთაშორისო ტერორიზმი (იდეოლოგია და პოლიტიკა), თბილისი 2015 წ.
14. წულაია ზ., კრიმინოლოგოა (ზოგადი და კერძო ნაწილი), თბილისი, 2005 წ.

უცხოური ლიტერატურა:

15. Amir M., “Political terrorism an common criminality: some preliminary consideration”, Violence, Aggression and Terrorism vol. 1

16. Benton, E. Gup, Money Laundering, Financing Terrorism and Suspicious Activities, 2007
17. Knickerbocker B., "Anti-Immigrant Sentiments Fuel Ku Klux Klan Resurgence", The Christian Science Monitor, 2008
18. Lewis C., Espionage and the War on Terrorism: Investigating U.S. Efforts
19. Matthew C. Wilson and James A. Piazza, Autocracies and Terrorism: Conditioning Effects of Authoritarian Regime Type on Terrorist Attacks, 2013
20. Raymond D.W., World Politics in the 21st Century (Third edition), 2005
21. Ruperez J., The United Nations In The Fight Against Terrorism, 2006
22. William G., The Encyclopedia of Police Science, NY, 1995
23. Кота А., Эпоха терроризма, Международный терроризм и право, 2004
24. Манфред А. З., Великая французская революция, Москва, 1983
25. Рудольфович М. И., Терроризм: понятие, ответственность, Предупреждение
26. Савельева Л. П., Терроризм - ты под прицелом, 2011
27. Эмануилов Р., А. Яшлавский, Террор во имя веры: религия и политическое насилие

ნორმატიული აქტები:

28. საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ
29. საქართველოს კონსტიტუცია
30. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

ვებ. გვერდები:

31. http://author.nbpublish.com/pr/article_28002.html
32. http://dpr.ru/pravo/pravo_32_15.htm
33. http://gov.ge/files/524_69782_874672_rotated_53.pdf?fbclid=IwAR25TZYW_udVPdXlN7tZ2FmHq3CElzugyILRxnYlTqZQ68sCq1tEqMGGPXg
34. http://www.cicte.oas.org/olat/documents/Defining%20TERRORISM%20in%20International%20Law.pdf
35. http://www.ibtimes.com/obama-says-cyberterrorism-countrys-biggest-threat-us-government-assembles-cyber-warriors-1556337
36. https://arbat.mos.ru/countering-extremism/

37. https://cyberleninka.ru/article/n/politicheskiy-terrorizm-i-ego-ugolovno-pravovaya-traktovka
38. https://en.wikipedia.org/wiki/List_of_terrorist_incidents
39. https://imedinews.ge/ge/politika/150198/keli-degnani-chveni-qveknebi-terorizmtan-brdzolis-mimartulebit-mravali-tselia-tanamshromloben-da-mnishvnelovani-shedegebi-gvaqvs
40. https://legal.un.org/avl/ha/dot/dot.html
41. https://list25.com/25-biggest-cyber-attacks-in-history/
42. https://militaryarms.ru/armii-mira/al-kaida/
43. https://pltf.ru/2017/08/17/ideologicheskii-terrorism-vcherashnii-den/
44. https://slovar.cc/ist/terror/2274057.html
45. https://ssg.gov.ge/uploads/pr/25.01.19/National%20CT%20Strategy%20of%20Georgia.pdf
46. https://www.coe.int/en/web/counter-terrorism/cdct/warsaw-convention-and-additional-protocol
47. https://www.fbi.gov/investigate/terrorism
48. https://www.gfsis.org/ge/publications/view/2540
49. https://www.gov.spb.ru/gov/terr/reg_admiral/antiterror/chto-takoe-terrochto-takoe-terrorizmrizm/
50. https://www.hsaj.org/articles/14749
51. https://www.jewishvirtuallibrary.org/lohamei-herut-yisrael-lehi
52. https://www.nationalgeographic.com/history/magazine/2017/11-12/history-the-explosive-truth-about-guy-fawkes/
53. https://www.osce.org/files/f/documents/e/c/33772.pdf
54. https://www.state.gov/reports/country-reports-on-terrorism-2018/
55. https://www.state.gov/the-global-coalition-working-to-defeat-isis-2/
56. https://www.theguardian.com/world/2020/jan/20/isis-leader-confirmed-amir-mohammed-abdul-rahman-al-mawli-al-salbi